პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 218 (5019) | ხუთშაბათი, 23 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ღირსეულად შევხვდეთ ლენინური კომკავშირის XIII ყრილობას (მოწვინავე)

ბოლშევიკის მორალური სახე („პრავდის“ მოწვინავე მე-2 გვ.)

ამხანაგ მ. მ. ლიტვინოვის სიტყვა (1-ლი, მე-2 გვ.)

ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი ბელორუსიის სამხედრო ოლქის მანევრებზე (მე-2 გვ.)

შ. ჭანუყვაძე — სანიმუშოდ ჩავატაროთ კომკავშირის აქტივის კრებები (მე-3 გვ.)

იაპონიის სამხედრო მოქმედება ჩინეთში (მე-2 გვ.)

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის კომიტეტის განმარტება (მე-2 გვ.)

მასარიკის დასაფლავება (მე-4 გვ.)

ესპანეთის ფრონტებზე (მე-2 გვ.)

23-ს კომიტეტის სხდომა (მე-2 გვ.)

„ბლაგოეველები“ სამშობლოში გაემგზავრნენ (მე-4 გვ.)

გერმანიის საელჩოს თავხედური დემარში (მე-4 გვ.)

ერაყვნული ბიბლიოთეკა

ღირსეულად შევხვდეთ ლენინური კომკავშირის XIII ყრილობას

ჩვენი განვითარების ყველა ეტაპზე ახალგაზრდობამ დაამტკიცა, რომ ის აქტიური შემომქმედი პოლიტიკური ძალაა. კომკავშირელები — ოქტომბრის ბედნიერი თაობა წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის სიამაყეს, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის უძვირფასეს კაპიტალს. ლენინური კომკავშირი ყოველთვის იყო და არის პარტიის უერთგულესი თანაშემწე საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ახლა, როდესაც მობრუნება მოხდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კომკავშირის როლი და ამოცანები კიდევ უფრო გაიზარდა. ახალი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად შეიცვალა კომკავშირის მუშაობის ფორმებიც. კომკავშირი კიდევ უფრო გაიზარდა, განმტკიცდა.

საქართველოს კომკავშირი, რომელიც თავის რიგებში 120.000-ზე მეტ კომკავშირელს აერთიანებს, უდიდეს სიმაგრედ გადაიქცა. იგი მტკიცედ არის დარაზმული ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის გარშემო; არ არსებობს სოციალისტური მშენებლობის ისეთი უბანი, სადაც კომკავშირელები ყველაზე გამბედულისა და მოწინავის სახელს არ ატარებდნენ.

საკ. ალკკ ც. კ-ის მე-3 პლენუმის დადგენილების საფუძველზე ახალგახ ჩატარებულმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ მოახდინა კომკავშირული ორგანიზაციების მიღწევათა დემონსტრაცია. საქართველოს კომკავშირმა ახლებურად დაიწყო მუშაობა. ამაღლდა სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდა მუშაობა კავშირგარეშე ახალგაზრდობაში, კომკავშირული ორგანიზაციები, უფრო მტკიცედ, უფრო მონოლიტური გახდნენ.

კომკავშირულმა მასამ ბევრი ახალი აქტივისტი წამოაყენა ხელმძღვანელ ორგანოებში. შეუფერებელი ადამიანების ნაცვლად ხელმძღვანელ სამუშაოზე მოვიდნენ ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგული ახალი კადრები. კომკავშირის კომიტეტების შემადგენლობაში 11.874 კაციდან ახლად არჩეულია 6.078, ხოლო კომიტეტების 2.848 მდივნიდან—1.531. ამ ახალ აქტივს განსაკუთრებული დახმარება და ხელმძღვანელობა ესჭირიება. კომკავშირის საოლქო, სარაიონო და საქალაქო კომიტეტებმა სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ მათთვის დახმარების გასაწევად.

ყოველ დღეს, ყოველ საათს მოაქვს ცხოვრები წარჩინებულ ადამიანთა რიცხვის ზრდის შესახებ. ადამიანებისა, რომლებიც წარმოებაში სასწაულებრივ რეკორდებს ამყარებენ. ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი სტახანოველი-კომკავშირელები: ა. შოშიაშვილი, რომელიც საწარმოო გეგმას 800 პროცენტით ასრულებს, დანოვსკი, ბაზაროვი (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა) და ასობით სხვები, საწარმოო დაგალებებს 400-600 პროცენტით რომ ასრულებენ. ასეა იქ, სადაც სტახანოვური შრომის ფართოდ დანერგვას ხელს უწყობენ, სადაც კომკავშირული ორგანიზაცია მოწოდების სიმაღლეზეა.

მიღწევებთან ერთად საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებებიც ახასიათებს. ზოგიერთ რაიკომსა და პირველდს ორგანიზაციაში ცალკეულ კომკავშირელთა სიფხიზლის მოდუნების გამო კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში ხალხის საზიზღარი მტრები შეიპარნენ და მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ. კონტრრევოლუციონერ-თვალთმაქცებმა პირველ რიგში ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგს დაუმიზნეს, კომკავშირის ბაღდათის, კასპის, ახალქალაქის რაიკომებში მოკალთებულმა ხალხის მტრებმა, პოლიტმოზრდელობითი მუშაობა სავსებით ჩაშალეს. წალენჯიხის რაიკომის პოლიტსწავლების განყოფილების გამგე, შენიღბული ტროცკისტი, ყოველგვარ ზომებს ხმარობდა პოლიტიკური სწავლების ჩასაშლელად.

სტახანოვურ მოძრაობას კომკავშირული ორგანიზაციები ყველგან როდი უდგანან სათავეში. მაუდის ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის უხელო მუშაობის შედეგად კომკავშირელი სტახანოველები ვ. ნარიმაშვილი და ვ. გიგაური ახლა სტახანოვურ მაჩვენებლებს ველარ იძლევიან. იქ, სადაც სტახანოველებს ხელს არ უწყობენ, ცხადია სტახანოველთა რიცხვი ვერ გაიზრდება. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოიყვანონ.

საკ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის დადგენილებამ კომკავშირის მუშაობაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა, საწარმოებში ენტუზიაზმის ახალი ტალღა ააზვირთა. ტრამვაის მუშა ამხ. ჭსოვრელი, რომელიც სავარაუდო გეგმას 200 პროცენტით ასრულებდა, ახლა მე-4 პლენუმის სახელობის გეგმას 320 პროცენტით ასრულებს. ასეთი მაგალითები მრავალია. მაგრამ არიან კომკავშირის ისეთი პირველადი ორგანიზაციები, რომლებმაც საკ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის დადგენილებიდან შესაფერისი დასკვნები ვერ გამოიყვანეს. თბილისის როზა ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში კომკავშირელებს გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგაც არ წაეკითხათ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

კომკავშირის რიგებში შეპარული ტროცკისტ - ბუხარინელები, ხალხის ეს საზიზღარი მტრები, ახალგაზრდობაში გახრწნილების ბაცილებს ავრცელებდნენ. საკავშირო ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმმა დასახა ღონისძიებანი კომკავშირში გახრწნილების ელემენტების წინააღმდეგ. საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ უნდა დარაზმოს კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდობის მასები იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს მე-4 პლენუმის დადგენილებათა განუხრელად გატარება. სავსებით უნდა აღმოიფხვრას ქეიფისა და ლოთობის ნიადაგზე ცალკეულ კომკავშირელთა ყოფაცხოვრებითი გახრწნილების შემთხვევები, რასაც დღემდე აქა-იქ ჰქონდა ადგილი. აჭარის ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში აღმოჩნდნენ მორალურად დაცემული და გადაგვარებული ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიდნენ საკოლმეურნეო მშენებლობას, კომკავშირელებში შუღლსა და მტრობას ნერგავდნენ, და ლოთობაში ატარებდნენ დროს. ასეთი ფაქტები იყო აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციაში და სხვ.

განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო იმისათვის, რომ სკოლებში ხელმძღვანელებად არ გაძვრნენ ხნდაცემული და გახრწნილი ადამიანები, როგორიც არის მაგალითად, მე-22 სკოლის ისტორიკოსი პედაგოგი შ. ბილიხოძე. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პედაგოგთა შერჩევაში.

ამ ფაქტებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კომკავშირის ზოგიერთი რაიკომი ვერ ამართლებს პარტიის ნდობას. ვერ გამოხატავს ახალგაზრდობის ინტერესებს, ხოლო მეორე მხრივ ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი რაიონის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ ვერ ატარებს ამხანაგ ლ. ბერიას მითითებას კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საქმეში. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები უფრო მტკიცედ, უფრო მეტი გულისხმიერებით დაეხმარონ კომკავშირს მის წინაშე მდგარ ამოცანების გადაჭრაში.

საქართველოს ლენინურმა კომკავშირმა ყველა ზომა უნდა იხმაროს იმისათვის, რომ უახლოეს დროში მოახდინოს კომკავშირული ორგანიზაციებში არსებული დეფექტების სრული ლიკვიდაცია. კომკავშირის საოლქო, საქალაქო, სარაიონო და პირველადმა ორგანიზაციებმა გაამახვილონ შეტევითი რევოლუციური სიფხიზლე ისე, როგორც ამას გვასწავლის დიდი სტალინი, რათა გამოიცნონ და გაანადგურონ მიმალული ხალხის მტრები—ტროცკისტ - ბუხარინელები და მათი დამქაშები. ურყევად გაატარონ საკ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის დადგენილება, მოამზადონ კომკავშირული მასები ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის და ბრწყინვალე გამარჯვებით შეხვდნენ საქართველოს კომკავშირის მე-13 ყრილობას.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის სიტყვა ერთა ლიგის პლენუმზე

ჟენევა, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). დღეს დილით ერთა ლიგის პლენუმზე გამოვიდა სსრ კავშირის პირველი დელეგატი ამხანაგი მ. მ. ლიტვინოვი.

ამხანაგმა ლიტვინოვმა სთქვა:

„ბატონო თავმჯდომარევ, ბატონებო.

უნდა აღვიაროო, რომ ერთგვარ ყოყმანს განვიცდიდი, ვიდრე აქ გამოვიდოდი, და ვფიქრობ, რომ იგივე ყოყმანი უცხო არ არის სხვა დელეგაციებისთვისაც. ჩემს თავს ვეკითხებოდი: განა საკმაოდ არ ინარჩუნებს თავის ძალას ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვამბობდით და რის წინადადებასაც ვიძლეოდით ამ ტრიბუნიდან ერთი წლის წინათ მე-17 ასამბლეის მოხსნების გამო, და საჭიროა კიდევ რაიმე დაემატოს ამას? მართლაც: ბორტება, რომლის შესახებაც ჩვენ აქ მაშინ ვლაპარაკობდით, კვლავ შხამავს საერთაშორისო ატმოსფეროს და ღრღნის ერთა ლიგას. აგრესია თეორიასა და მოქმედებაში, არა თუ არ გამქრალა, არამედ პირიქით, მან კიდევ უფრო მაღლა წამოჰყო თავი, უფრო უტიფრად გვიჩვენებს თავის უმსგავსო სახეს და ჰპოულობს სულ ახალ-ახალ და უფრო ხშირ გამოხატულებას უფროდაუფრო მკვეთრი ფორმით.

აგრესიულ მოვლენებს შენიღბული ფორმით სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში მიემატა ასეთივე მოვლენები გაშიშვლებული სახით აზიის კონტინენტზე. ორ სახელმწიფოს, ლიგისა და საბჭოს ორ წევრს თავს ესხმიან უცხოეთის სამხედრო ძალები — სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო. მესამე ქვეყნების კომერციული, ისე როგორც სამხედრო, ხომალდები ყოველგვარ თავდასხმათა მსხვერპლი ხდებიან. წყალთა უმთავრესი გზები აღარ არის უშიშარი პირატობისაგან. ზიანს აყენებენ საერთაშორისო ვაჭრობას, უკანონოდ ახდენენ ძვირფას ტვირთთა კონფისკაციას და სძირავენ მათ, გემთა კომანდები ტყვედ მიჰყავთ ან ხოცავენ მათ, ზღვებზე სრული თვითნებობა და ყაჩაღობა მეფობს, ფეხქვეშ ითელება საერთაშორისო სამართლის უაღრესად ელემენტარული ნორმები. ამ დღეებში საჭირო გახდა საერთაშორისო საზღვაო პოლიციის შექმნა და ომის ჰუმანიზაციის წესების გამომუშავება მშვიდობიანობის დროს.

აზიის მატერიკზე ომის გამოუცხადებლად, სრულიად უსაბაბოდ და გაუმართლებლად ერთი სახელმწიფო თავს დაესხა მეორეს — ჩინეთს—ავსებს მას 100-ათასიანი არმიებით, ახდენს მისი ნაპირების ბლოკადას, ჰფუშავს ვაჭრობას ერთერთ უდიდეს მსოფლიო კომერციულ ცენტრში. და ჩვენ, როგორც ეტყობა, ვიმყოფებით ამ მოქმედებათა მხოლოდ დასაწყისში, რომელთა გაგრძელება და დასასრული ჯერ კიდევ არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას. ევროპაში მეორე სახელმწიფოს — ესპანეთს— უკვე მეორე წელია თავს ესხმიან უცხოეთის ორგანიზებული არმიები, მისი მშვენიერი დედაქალაქი — მადრიდი და სხვა ქალაქები დღითიდღე განიცდიან უსასტიკეს ბომბარდირებას, რომელიც სპობს ათეული ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს, უდიდეს მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა. მეორე ქალაქი —ალმერიას — ზარბაზნებს უშენენ უცხოეთის სამხედრო გემებიდან; და ყოველივე ამას სჩადიან უცხოეთის სახელმწიფოები, რომლებსაც არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეთ ესპანეთში გაშლილ სამოქალაქო ომთან.

ამათად დავიწყებდით ამ მოვლენათა ასახვის ძებნას ლიგის სამდივნოს მოხსენებაში ახლანდელ პლენუმზე. ერთა ლიგა, მოწოდებული უზრუნველჰყოს იმ სახელმწიფოთა მთლიანობა, რომლებიც მისი წევრები არიან, დაიცვას მშვიდობიანობა და საერთაშორისო წესრიგი, უზრუნველჰყოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაურღვევლობისა და საერთაშორისო სამართლის პატივისცემის დაცვა, განზე რჩება ამ მოვლენებისაგან, არ ეხმაურება მათ. უფრო უარესი — ფესვს იკიდებს აზრი, რომ აუცილებელია, უმთავრესად, დავიცვათ რათაც უნდა დაჯდეს ერთა ლიგა, როგორც ლამაზი ქალწული, ამ შემაძრწუნებელ მოვლენათა ქროლვისაგან, მათგან მისი იზოლირებითო.

ერთა ლიგაზე ასეთ სათუთ მზრუნველობას საფუძვლად უდევს შემცდარი აზრი, თითქოს ერთა ლიგას არ შეეძლოს ბრძოლა აგრესიასთან, თვითნებობასთან, უკანონობასა და საერთაშორისო ყაჩაღობასთან, ვინაიდან ამ მოვლენებში დამნაშავენი იქ არ არიანო. ჰფიქრობენ, რომ ბრძოლა აგრესიასთან შეიძლება წარმატებითი იქნეს მხოლოდ... თვით აგრესორებთან თანამშრომლობაში. ასეთი წარმატებითი თანამშრომლობის ცდა უკვე მოხდენილია. ესპანეთის საკითხი ჩამოაშორეს ერთა ლიგას და გადასცეს ლონდონში სპეციალურად შექმნილს ეგრეთწოდებულ ჩაურევლობის კომიტეტს, რათა მოეპოვებინათ თანამშრომლობა ესპანეთის ტრაგედიაში მთავარი დამნაშავეებისა, რომლებიც ერთა ლიგის ატმოსფეროს ვერ იტანენ. ამ ცდის შედეგები თვალწინ გვაქვს და ყველასათვის ცხადია. ხელს აწერდნენ შეთანხმებებს, რომლებსაც დაუყოვნებლივ არღვევდნენ, იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებსაც არ იცავდნენ, იმუშავებდნენ სქემებსა და გეგმებს, რომლებსაც საბოტაჟს უცხადებდნენ და ჰფუშავდნენ, და ყოველივე ეს ხდებოდა კომიტეტის იმ ზოგიერთი ზედმეტად, მაგრამ სოლიდარულად მოკაპიწებზე წევრთა მიერ კარების ბრახუნის აკომპანიმენტში, რომელნიც ხან სტოვებდნენ კომიტეტს, ხან კვლავ უბრუნდებოდნენ. ლონდონის კომიტეტმა, და თქმა უნდა, ვერ მიაღწია ვერცერთ მიზანს, რომელიც თვით დაისახა. მიუხედავად იმისა, რომ იარაღის შეტანა ესპანეთში ფორმალურად აკრძალეს, მეამბოხეთა მომარაგება — სახელმწიფო მასშტაბით — ყველა სახის იარაღით ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში მოქმედებისათვის არ სწყდებოდა. წინააღმდეგ ვალდებულებისა, რომ უცხოელ მოქალაქეებს აეკრძალებოდათ ესპანეთში შესვლა საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, ათეული ათასობით ადამიანები სამხედრო ფორმაციებით, მთელი დივიზიებით, სავსებით შეიარაღებულნი, ოფიცრებისა და გენერლების მეთაურობით იგზავნებოდნენ ესპანელ მეამბოხეთა დასახმარებლად ყველას თვალწინ უშუალოდ იმ ქვეყნების ნავსადგურებიდან, რომელთაც იკისრეს ხსენებული ფორმალური ვალდებულება. ეს მიხვედრა კი არ არის, არამედ ფაქტებია, რომლებსაც არ მალავენ ამ ვალდებულებათა თვით დამრღვევნი, რომელთა შესახებაც აშკარად სწერს მათი პრესა, რომელთა შეპახებაც ჩვენ ვტყობილობთ ოფიციალური ბრძანებებიდან, დაჭრილთა და მოკლულთა გამოქვეყნებული სიებიდან, ოფიციალური დეპეშების გაცვლიდან. დაუმატეთ ამას უცხოეთის სამხედრო გემების მიმოსვლა ესპანეთის ირგვლივ, რომელიც მეამბოხეებს ეხმარებიან დაზვერვით, ესპანეთის ნავსადგურებისათვის ყუმბარების დაშენით (ალმერიის შემთხვევა) და ნეიტრალური კომერციული გემების ჩაძირვითაც კი, ე. ი. რესპუბლიკური ესპანეთის ბლოკადაში მონაწილეობით, და თქვენ მიხვდებით, თუ რატომ აღარ შეიძლება უირონიოდ ლაპარაკი ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

ასეთია შედეგები იმ ორგანიზაციის საქმიანობისა, რომელიც გაწმენდილია ჟენევის ატმოსფეროსგან და რომელიც უპასუხებს უნივერსალობის მოთხოვნას.

ამ შედეგებზე მივაქცევ უნივერსალობის ადოლოგეტთა ყურადღებას. დეე, ჩაუფიქრდნენ ისინი ამ შედეგთა მიზეზს, და დარწმუნდებიან, რომ იღუზორულია იმედები წარმატებითი თანამშრომლობისა იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც სხვადასხვა მიზანს ისახავენ, რომელთაც საწინააღმდეგო კონცეფციები აქვთ საერთაშორისო ცხოვრების, ხალხთა საურთიერთო უფლებებისა და მოვალეობათა შესახებ, იმედები თანამშრომლობისა იმათ შორის, ვინც გულწრფელი მომხრეა სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობისა, ვინც იცავს თვითეული ხალხის უფლებას — დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი შინაური რეჟიმი, და იმათ შორის, ვინც ასევე გულწრფელად და ამკარად ეხმრობა ჩარევას სხვის საქმეებში და სხვა სახელმწიფოებისათვის ხიშტითა და ყუმბარებით ამათუიმ რეჟიმის თავზე მოხვევას. აგრესიასა და არააგრესიას შორის, მშვიდობიანობასა და ომს შორის არ შეიძლება სინთეზი არსებობდეს.

მეორე მხრით, ჩვენ გვქონდა გამოცდილება მონტრეს ორი კონფერენციისა, და სულ ამ ცოტა ხნის წინათ ნიონში შემდგარი კონფერენციისა, რომელთაც წარმატებით და სწრაფად შეასრულეს თავისი ამოცანები, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ იყო უნივერსალიზმი, ე. ი. არ იყვნენ სახელმწიფოები, რომელთა მოზიდვაც აქ ჩვეულებრივ უნივერსალიზმად მიაჩნიათ. დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს. საქმე უნივერსალიზმი კი არ არის, არამედ ისა, რომ ყოველგვარი საერთაშორისო ორგანიზაციის თუ კონფერენციის მონაწილენი, მიუხედავად მათი ნაციონალური ინტერესების მთელი განსხვავებისა, გაერთიანებულნი იქნენ საერთო, მათი გამაერთიანებელი უნივერსალური იდეით, როგორიც არის მშვიდობიანობის იდეა, ყველა ხალხის თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის იდეა, ძალის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღის, განდევნის იდეა, იდეა, რაც საფუძვლად უდევს ერთა ლიგის წესდებასა და ბრიანკელოგის პაქტს.

ჩვენ ვიცით სამი სახელმწიფო, რომელნიც გაემიჯნენ ამ იდეას და რომელნიც უკანასკნელი წლების განმავლობაში თავს ესხმოდნენ სხვა სახელმწიფოებს. მიუხედავად თავდასხმის ობიექტთა რეჟიმების, იდეოლოგიის, მატერიალური და კულტურული დონის მთელი განსხვავებისა, აგრესიის გასამართლებლად სამივე სახელმწიფოს ერთიდაგივე მოტივი მოჰყავს: ბრძოლა კომუნიზმთან. ამ სახელმწიფოთა მმართველნი გულუბრყვილოდ ჰფიქრობენ, ან უფრო თავს გვაჩვენებენ, თითქოს ასე ჰფიქრობენ, რომ საკმარისია წარმოსთქვან სიტყვა „ანტიკომუნიზმი“, და ყველა მათი საერთაშორისო ბოროტმოქმედება და დანაშაული უნებლიეთ ეპატიოთ. თუმცა ისინი იკვებრნან, ჩვენ შეგვძლია ალმოგვეფხვრა კომუნიზმი ჩვენს ქვეყნებში და მისგან სრული იმუნიტეტი მივიღეთო, ისინი, ახლო და შორეული ხალხებისადმი დაუშრეტელი სიყვარულით აღტყინებულნი, თავის მისიად აცხადებენ ამ ხალხთა განთავისუფლებას კომუნიზმისაგან. იდეური ბრძოლის საშუალებით? ოჰ, არა! მათს განკარგულებაში არსებული ყველა სამხედრო - საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ძალების საშუალებით. რათა შეასრულონ ნებაყოფლობით ნაკისრი მისია ყველა ხალხის გაბედნიერებისა, ისინი მზად არიან არ დაზოგონ თავისი საკუთარი ხალხის არავითარი ძალა და საშუალება— მზად არიან მინიმუმამდე შეამცირონ მისი უარყოფილად ელემენტარული მატერიალური მოთხოვნილებანი და მშიერ ულუფაზე დასვან იგი. ოღონდ კი საკმაო იარაღი ჰქონდეთ კომუნიზმის აღმოსაფხვრელად სხვა ქვეყნებში. ეს, რა თქმა უნდა, აშკარა იდეოლოგიაა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევისა, რომელიც აღსავსეა ზიზღით მათი თავისთავადობისა და დამოუკიდებლობისადმი. მე თქვენ გეკითხებით, რა სანახავი იქნებოდა მსოფლიო, სხვა ხალხები რომ ამ იდეოლოგიით გამსჭვალულყოფნენ და ერთი-მეორის წინააღმდეგ გაელაშქრნათ ერთმანეთისათვის ამათუიმ შინაგანი რეჟიმის თავზე მოსახვევად. თუმცა ზოგჯერ ამ იდეოლოგიის დამფუძნებელთ თვითონვე შეაქვთ ეჭვი მისი, როგორც ხელმძღვანელი საერთაშორისო იდეის დამაჯერებლობასა და მისაღებლობაში, მაშინ ისინი ჩამოდიან თავისი იდეოლოგიური მწვერვალებიდან და გვაძლევენ თავისი ანტიკომუნისტური ლოზუნგების უფრო პროზაიკულ ახსნას. მაშინ ჩვენ გავიგებთ, — რასაც ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვერ ვიპოვნით, — რომ ანტიკომუნიზმს გეოლოგიური აზრიც აქვს და იგი ნიშნავს კალისა, თუთიისა, ვერცხლისწყლისა, სპილენძისა და სხვა მინერალებისაკენ ლტოლვას. ხოლო როცა ირკვევა, რომ ეს განმარტებაც არ არის საკმაო, მაშინ ანტიკომუნიზმს განმარტავენ, როგორც ხელსაყრელ ვაჭრობისაკენ მისწრაფებას. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ასეთი ვაჭრობა შეიძლება ხელიდან გამოეცალოთ, თუ ესპანეთი კომუნისტური ფერით შეიღებება. მაგრამ, მე ეჭვი მეპარება, რომ ეს იყოს ანტიკომუნიზმის სულ უკანასკნელი და განსაკუთრებული განმარტებანი, ჩვენ ხომ უკვე ვიცით მაგალითი ერთი კომუნისტური სახელმწიფოსი, რომელიც მდიდარია მინერალებითა და სხვა ნედლეულით და რომელსაც უარი არ უთქვამს ამ მინერალებისა და ნედლეულის სხვა ქვეყნებში გატანაზე, უკანასკნელებთან მეტად ფართო ვაჭრობის წარმოებაზე ამ ქვეყნებში გაბატონებული ყოველგვარი რეჟიმის დროს, თვით ფაშისტური და ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის ჩათვლით. კიდევ მეტიც, სწორედ ეს ქვეყნები დიდის ხალისით ღებულობდნენ კომუნისტური სახელმწიფოსაგან მინერალებსა და სხვა ნედლეულს, არა თუ უარს არ ამბობდნენ მასთან ვაჭრობაზე, არამედ ცდილობდნენ ამ ვაჭრობის მაქსიმალურად გაფართოებას, უყენებდნენ რა მას ამისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ კომუნიზმი /არ წარმოადგენს დაბრკოლებას ამათუიმ სახელმწიფოსთან საერთაშორისო საქონელბრუნვისათვის იმ პირობით კი, რასაკვირველია, რომ უკანასკნელი იცავს თუნდაც ელემენტარულ საერთაშორისო წესიერებას, ქუჩორად არ იღანძღება. არ ხულიგნობს და არ აცხადებს აშკარად, რომ ვაჭრობისაგან მიღებული სარგებელი მოხმარდება შეიარაღების გადიდებას კონტრაგენტზე თავდასასხმელად.

მაგრამ ანტიკომუნიზმის არცერთი განმარტება არ შეიძლება შეეფარდოს რესპუბლიკურ ესპანეთს აგრეთვე იმიტომ, რომ იქ კომუნისტური წყობილება არ ყოფილა და არ არის, და რომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ესპანეთის ხალხი იბრძვის თავისი რესპუბლიკურ-დემოკრატიული რეჟიმის შენარჩუნებისათვის, რეაქციისა და სამხედრო დიქტატურის ძალების წინააღმდეგ. აი რატომ ვართ იძულებული ვიფიქროთ, რომ შემდეგში ჩვენ მივიღებთ ახალ ან დამატებით განმარტებას ანტიკომუნიზმისა შესაძლოა პოლიტიკურ, სტრატეგიულ ან სხვა სფეროში.

საჭიროა დავუმატოთ, რომ ანტიკომუნისტური ლოზუნგის შეფარდების არე უფროდაუფრო ფართოვდება. როცა ახლა ლაპარაკობენ ხელშე ბოლშევიკურ რეჟიმზე, როგორც ატმოსფეროსგან რეჟიმზე, ხშირად დასძენენ სიტყვებს „და სხვა მსგავსი რეჟიმებით“. არაიშვიათად გვესმის, რომ ყველა დემოკრატიული პარლამენტარული ქვეყანა ბოლშევიზმის წინაშე იმყოფება. აქედან შორი მანძილი აღარ არის იმის მტკიცებამდე, რომ საჭიროა მათი გაბედნიერება და მოსალოდნელი დაღუპვისაგან ხსნა, როგორც ესპანეთის შემთხვევაში, შეიარაღებული ჩარევისა და თავდასხმის გზით. ჩვენ გვაქვს მაგალითი ჩინეთისა, რომელიც ძნელად თუ შეიძლება მიეკუთვნოს საპარლამენტო რეჟიმიან ქვეყნებსაც ეს სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა, მასზე თავდასხმაც კომუნიზმთან ბრძოლის ლოზუნგით ხდება. თვით ევროპაშიაც ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყნების, რომლებიც, საერთო აზრით, დასახულნი არიან უახლესი აგრესიის ობიექტად, წინასწარ აცხადებენ ბოლშევიზირებულ ან ბოლშევიკური გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყნებად დასახული აგრესიის შემდგომი გამართლების მიზნით. ყოველი ქვეყანა, რომელიც აგრესიულ სახელმწიფოთა ზრახვების საგნად გადაიქცევა, შეიძლება საეჭვოდ იქნას გამოცხადებული ბოლშევიზმის საფრთხის მხრით, რადგან არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არის საჭირო, არამედ საკმარისია ყოველ დღე იმეორონ ერთი და იგივე უნიფიცირებულ პრესაში და ოფიციალურ სიტყვებში იმ მოსაზრებით, რომ სიცრუე შეიძლება სიმართლედ მოაჩვენონ, თუ მას ხშირად გაიმეორებენ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანს მშვიდობიანად ესმის ანტიკომუნისტური ლოზუნგის უაზრობა და ის აგრესიული ზრახვები, რომლებიც ამ ლოზუნგით არის შენიღბული, მაგრამ თავაზიანობის გამო, რაც ამ შემთხვევაში, არა გვგონია, შესაფერისი იყოს, ჩუმად ისმენენ და კითხულობენ ამ უაზრობას. საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ეს დუმილი აგრესორმა შეიძლება გაიგოს როგორც თანხმობა იმაზე, რომ მისი აგრესიული ზრახვანი ან მოქმედებანი გამართლებულია ყველა აქედან გამომდინარე საფრთხეთა შედეგებით მშვიდობიანობის საქმისთვის. მე ვფიქრობ, რომ დროა ბოლო მოეღოს აგრესიის ამ საშიშ საიგიტაციო იარაღს. რომ დროა იმათ, ვისთვისაც მშვიდობიანობის ინტერესები მართლაც ძვირფასია, განუცხადონ მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწეებს, რომ უაზრობა, რასაც ყოველდღე იმეორებენ, ამით მაინც უაზრობად რჩება, რომ აგრესიას უნდა ეწოდოს აგრესია, რა ლოზუნგითაც უნდა იყოს იგი შელამაზებული, რომ როგორიც უნდა იყოს ანტიკომუნიზმის აზრი, მინერალოგიური, თუ კომერციული, სტრატეგიული, თუ სხვაგვარი—არ შეიძლება საერთაშორისო გამართლება მიიღოს მის მიერ შენიღბულმა აგრესიამ, შეიარაღებულმა ჩარევამ, უცხო სახელმწიფოებში შეჭრამ და საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევამ. დროა აგრეთვე ითქვას, რომ ისინი— გააფთრებული ადამიანთმოძულეობის მქადაგებელნი — ვერ უნდა ბედავდნენ კაცობრიობის ინტერესებზე ზრუნვას, რომ ისინი—წარმართობისა და საშუალო საუკუნეების დროის ყველაზე ველური, დრომოჭმული თეორიის აღმდგენელნი ვერ უნდა ბედავდნენ თანამედროვე ევროპის სახელით ლაპარაკს, რომ ისინი—ადამიანის სულის საუკეთესო ნაწარმოებთა დამწველნი, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელთა მდევნელნი, რომელნიც ეზიზღება მთელს კულტურულ მსოფლიოს, სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან, როცა ცივილიზაციის ხსნაზე ლაპარაკობენ და ამისთვის მოუწოდებენ სხვა ხალხთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ.

ასეთი განცხადებანი უდიდეს სამსახურს გაუწევდნენ მშვიდობიანობის საქმეს.

ესპანეთში აგრესიის გამართლების კამპანიას ამ დღეებში შეემატა ახალი უაზრო მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირი ისწრაფვის დაიპყროს ესპანეთი ან უზრუნველყოს მაინც პოლიტიკური გავლენა ესპანეთზე და ამით დაარღვიოს წონასწორობა ხმელთაშუა ზღვაში. მართალი სთქვა აქ ამ დღეებში ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ნეგრინმა, რომ საბჭოთა კავშირს ესპანეთის კონფლიქტის მთელი დროის განმავლობაში ესპანეთისთვის არაფერი უთხოვნია, არაფრის მიღებას მისგან არ ცდილობდა და არ ცდილობს. საბჭოთა კავშირს არ აქვს ესპანეთში არც მინერალოგიური, არც ეკონომიური, არც სტრატეგიული ინტერესები, არც თვით ეურიდწოდებული წონასწორობის მოსაზრებანი. მას ინტერესებს მხოლოდდამხოლოდ ის, რომ განმტკიცდეს ყოველი ხალხის უფლება საკუთარი გადწყვეტილებით განსაზღვროს თავისი სამომავლო რეჟიმი უცხო სახელმწიფოების და, მით უფრო, უცხოეთის ჯარების ჩაურევლად, რომ ესპანეთში არ იქნეს დაშვებული ახალი დასაყრდენი პუნქტის შექმნა აგრესიისათვის მთელი ევროპის წინააღმდე

ამხანაგ მ. მ. ლიტვინოვის სიტყვის დასასრული

სალვადორი, ნიკარაგუა და პარაგვაი. ჩვენ მწუხარებას გამოვთქვამთ მათი წესრიგის გამო, ვინაიდან ვფიქრობთ ყველა ქვეყნის თანამშრომლობას, დიდისა და პატარისას, მაგრამ არა მგონია, რომ ჩილის პატივცემული წარმომადგენელიც ჰფიქრობდეს თითქოს ამ რამდენიმე სახელმწიფოს დაბრუნება ერთა ლიგის წიაღში გასაღები იყოს ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად და ლიგის მოჩვენებითი უმწეობა მათ აქ დაუსწრებლობიდან გამომდინარეობდეს. მე იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ, როცა უნივერსალიზმზე ლაპარაკობენ, უმთავრესად მხედველობაში აქვთ სწორედ ის სამი დიდი სახელმწიფო, რომელნიც უკვე იყვნენ ლიგაში და გაიჯახუნეს კარი და რომელთა პოლიტიკაც მეთქვენ ეს-ეს არის დაგიხასიათეთ. ჩვენ გვირჩევენ შევეკითხოთ იმის შესახებ თუ ლიგა ყველაზე უკეთ როგორ ებრძოლოს აგრესიას, როგორ უზრუნველჰყოს ლიგის ყველა წევრის თავისთავადობა და დამოუკიდებლობაო — შევეკითხოთ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც აშკარად ჰქადაგებდნენ, ჰქადაგებენ და პრაქტიკულად ახორციელებენ აგრესიასა და შეიარაღებულ ჩარევას სხვა სახელმწიფოთა საქმეებში და საერთაშორისო ვალდებულებათა არასავალდებულობას. განა მთელი მათი პოლიტიკა მკერმეტყველური პასუხი არ არის განზრახულ შეკითხვაზე? განა ისინი მალავენ თავის უარყოფითს დამოკიდებულებას აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის კოლექტიურ ღონისძიებებისადმი? განა ისინი არ ჰფიქრობენ თავის საკუთა. რი ბედის ანაბარად დასტოვონ თვითეული სახელმწიფო, აღიარებენ რა ურთიერთდახმარებას მხოლოდ საერთო აგრესიაში? განა ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტის ისტორია ჩვენ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას არ გვაძლევს იმაზე, თუ როგორ ესმით მათ კოლექტიური ვალდებულებანი და მათი დაცვა? დასასრულ, ჩვენ საკმაოდ ვიცნობთ უკანასკნელი წლების მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას ლოკარნოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რათა ვიცოდეთ, რომ მათ დიდიხანია გაუგზავნეს ჩვენთვის ახლა რეკომენდებული შეკითხვა ლიგაში დაბრუნების შესაძლებლობისა და ამ დაბრუნების პირობების შესახებაც კი. მე არ მახსოვს, გაცემული იყო თუ არა პასუხი ამ შეკითხვაზე, მე არ ვიცი, იქნება თუ არა პასუხი ევენტუალურ შეკითხვაზე ლიგის სახელით, მაგრამ იგი კიდეც რომ იქნეს გაცემული, როგორადაც უნდა იყოს იგი გამოთქმული, მისი აზრი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ლიგაში ჩვენ არ დავბრუნდებით, ან მზად ვართ დავბრუნდეთ იმ პირობით, რომ იგი ხელს არ შეუშლის ჩვენს აგრესიულ გეგმებს, რომ ლიგა უარს იტყვის თავის წევრების დაცვაზე, აღიარებს ხალხთა რასულ იერარქიას, ერთის მეორეზე ბატონობისა და უკანასკნელისათვის პირველის რეჟიმის თავზე მოხვევის უფლებასო. საჭიროა თუ არა უნივერსალიზმი ასეთ პირობებში? არ მეეჭვება, თუ როგორი იქნება ლიგის წევრთა უმეტესობის პასუხი ამ კითხვაზე.

უნივერსალიზმის საკითხი წარმოიშვა ლიგის რეფორმის იმ ამოცანასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენს წინაშე არის დასმული. საგანგებო პლენუმის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, რეფორმა უნდა გატარდეს ლიგის გაძლიერების, აგრესიასთან ბრძოლაში მისი ეფექტურობის გადიდების მიმართულებით. ლიგის წევრების უმრავლესობა მიიღებულ პასუხებში არის საკმაოდ ძვირფასი მითითებანი და წინადადებანი, რომელთა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ შევუდგეთ მუშაობას და დავამთავროთ იგი, თუ იგი, თავს შეიკავებს რა ამგვარი რჩევისაგან თვითონ პასიური დარჩება და მიუთითებს თავის სასუსტეზე, თავის არასაკმარ უნივერსალობაზე, იმაზე, რომ მის განხილვებში მონაწილეობას არ იღებენ აგრესიაში დამნაშავენი, რომელთაც არ სურთ მის გადაწყვეტილებებს დაემორჩილონ. ეს გზა უკვე ნაცადია და მან მიგვიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, რომელსაც ყველა ორატორი დასტიროდა, ამ ტრიბუნაზე.

ამ გზამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ლიგის წევრმა ზოგმა სახელმწიფომ დაჰკარგა უდიდესი ტერიტორიები ათეულ მილიონიან მოსახლეობით, ზოგიერთმა კი თვით თავისი არსებობა, როგორც სახელმწიფოსი. ახლა შეიძლება აქსიომად ჩაითვალოს, რომ ლიგის პასივობას მანჯურიის კონფლიქტის დროს რამდენიმე წლის შემდეგ შედეგად მოჰყვა აბისინიაზე თავდასხმა. ლიგის არასაკმაო აქტივობამ აბისინიის შემთხვევაში წააქეზა ესპანეთის ექსპერიმენტი. იმ გარემოებამ, რომ ლიგას არავითარი ზომები არ მიუღია ესპანეთის დასახმარებლად, წააქეზა ახალი იერიში ჩინეთის წინააღმდეგ. ამრიგად ჩვენ 4 აგრესია გვქონდა ხუთი წლის მანძილზე. ჩვენ ვხედავთ, თუ აგრესია, რომელიც არ იყო შეჩერებული, როგორც გადადის ერთი მატერიკიდან მეორეზე და ყოველთვის უფრო-დაუფრო იზრდება. მეორე მხრით, მე მტკიცედ მწამს, რომ ლიგის გადამჭრელი პოლიტიკა აგრესიის ერთ შემთხვევაში თავიდან აგვაცილებდა მთელ დანარჩენ შემთხვევებს. და მაშინ, და მხოლოდ მაშინ დარწმუნდებოდა ყველა სახელმწიფო, რომ აგრესია არ არის რენტაბილური. რომ აგრესიას არ უნდა მიმართონ. მხოლოდ ასეთი პოლიტიკის შედეგად ჩვენს კარს დაუკაკუნებენ ერთა ლიგის ყოფილი წევრები, და ჩვენ სიხარულით ვეტყვით მათ: „შემობრძანდით“. ჩვენ არ შევეკითხებით მათ მათი მსოფლჭვრეტის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა შინაური რეჟიმი არის მათთან გაბატონებული, ვინაიდან ერთა ლიგა აღიარებს ყოველი არსებული რეჟიმის მშვიდობიან თანაარსებობას, და მაშინ განხორციელდება ჩვენი საერთო იდეალი უნივერსალური ლიგისა, იდეალი რომელიც შენარჩუნებული იქნება როგორც მშვიდობიანობის იარაღი. მაგრამ ამ იდეალს ჩვენ ვერ მივაღწევთ ანკეტების დაგზავნით, არამედ მივაღწევთ მხოლოდ აგრესიისათვის კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევით, მშვიდობიანობის კოლექტიური დაცვით, რაც ჩვენ ყველას გვესაჭიროება და რომლის სიკეთითაც ჩვენ ყველანი ვისარგებლებთ“.

○

ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შემდეგ ყოველი მხრით გაისმა ერთსულოვანი ტაში და მრავალმა დელეგატმა მყის მოულოცა, მას შესანიშნავი გამოსვლა. კულუარებში დელეგატები და ჟურნალისტები მიდიოდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრებსა და საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან, რომელთაც უცხადებდნენ, რომ ეს იყო ყველაზე ძლიერი სიტყვა, რომელიც კი ოდესმე მოუსმენიათ მათ ლიგის არსებობის წლების განმავლობაში. საბჭოთა დელეგაციის მიმართ ჩვეულებრივ მტრულად განწყობილმა წრეებმაც კი აღიარეს, რომ სიტყვამ უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა.

სამარი მოქმედება ჩინეთში

ტოკიო, 20 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). იაპონური ცნობებით, იაპონიის ნაწილებმა, რომლებიც მიდიან ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ, 20 სექტემბერს დაიკავეს პუნქტი გუჩენი, 40 კილომეტრის მანძილზე ბაოდინის ჩრდილო-დასავლეთით.

ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე 20 სექტემბერს იაპონელმა ჯარებმა დაიწყეს ჩინელთა პოზიციების იერიში დაჩენის რაიონში, 30 კილომეტრის მანძილზე მაჩანის დასავლეთით. ჩინელი ჯარები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ფინჯენტინის სექტორში (სუიუანის პროვინცია) „შიდა მონღოლეთის კავალერიის მთავარმა ძალებმა“ 19 სექტემბერს თითქოს დაიკავეს გასტაიდიანის პუნქტი, პინდიციუანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 70 კილომეტრის მანძილზე.

იაპონიის ავიაციამ ტაიიუანის (შანხაის პროვინციის დედაქალაქი) ბომბარდირების დროს 19 სექტემბერს 1 თვითმფრინავი დაჰკარგა.

იაპონიის ჯარების უშედეგო შეტევა შანხაის ფრონტზე

შანხაი, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. საag.). დღე-ღამის განმავლობაში 19-20 სექტემბრამდე იაპონიის ჯარებმა შეტევა მოახდინეს ლიუბაის რაიონში, შანხაის ფრონტზე, (ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბნებში), მაგრამ წინ წაწევა ვერ შესძლეს.

იაპონიის ავიაციის თავდასხმა ხაიჯოუზე და სინკუზე

შანხაი, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). გაზეთ „სინვენბაოს“ ცნობით, 19 სექტემბერს იაპონიის 12-მა თვითმფრინავმა თავდასხმა მოახდინა ხაიჯოუსა და სინპუზე (ძიანსუს პროვინცია). ტყვიამფრქვეველების ცეცხლით ორივე პუნქტზე მოკლულია ბევრი მცხოვრები.

„ჯუნხუნბაო“ იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში ტიანძინში მოვიდა 30 ათასი იაპონელი ჯარისკაცი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა რჩება ნანკინში

შანხაი, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). როგორც უკვე იტყობინებოდნენ, ამერიკის საელჩომ დასტოვა ნანკინი იაპონელების ავიაციის მიერ ქალაქის მომავალ ბომბარდირების გაფრთხილებასთან დაკავშირებით. დასრულებულია აგრეთვე ამერიკელ მოქალაქეთა ევაკუაცია ნანკინიდან.

ინგლისის წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ წარმომადგენლობა რამოდენიმე ხნით დარჩება ნანკინში. სსრ კავშირის წარმომადგენლობა ნანკინში რჩება.

იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს კანტონს

ლონდონი, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). რეიტერის ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 21 სექტემბერს დილით იაპონელთა დიდძალმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კანტონის ჩინურ ნაწილს. ჩინეთის საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა იაპონიის თვითმფრინავებს. ქალაქში რამდენიმე ადგილას ხანძარმა იფეთქა. ცოტა ხნის შემდეგ იაპონიის თვითმფრინავები კვლავ გამოჩნდნენ კანტონის თავზე. მათ შესახვედრად გავიდნენ ჩინეთის თვითმფრინავები. ბრძოლაში ჩამოაგდეს ერთი თვითმფრინავი, რომელიც არ იციან, ვის ეკუთვნის.

ჩინეთის ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ **ჩინელმა ნაწილებმა ჩამოაგდეს იაპონელთა სამი თვითმფრინავი.**

იაპონელ ინტერვენტთა სამარი მოქმედება ჩინეთში

სურათზე: ზემოთ — სტუდენტთა ანტი-იაპონური დემონსტრაცია ბეიპინში; ქვემოთ — ბეიპინის ნორმალური სკოლების მასწავლებელ-ქალთა დემონსტრაცია.

ფოტო „სოიუზფოტოსი“

23-ის კომინტერნის სხდომა

ჟენევა, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). დღეს სალამოთი შესდგა 23-ის კომიტეტის პირველი სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი მუნტერსი. ლორდმა კრენბორნმა (დიდი ბრიტანეთი) შეიტანა წინადადება, კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ იქნან ჩინეთი და იაპონია, როგორც კონფლიქტში მყოფი ქვეყნები, და გერმანია, როგორც კომიტეტის წევრი მისი პირველადელეგაციის შემადგენლობის დროს (1933 წელს). მხარი დაუჭირა რა ამ წინადადებას, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა თავის მხრით შეიტანა წინადადება მოწვეულ იქნას აგრეთვე ავსტრალია, როგორც უშუალოდ დაინტერესებული ლიგის მოგვარებაში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა იმედი გამოსთქვა, რომ ამ სახელმწიფოების მოწვევა არ გახდება დაუსრულებელი დაბრკოლების საბაბად კომიტეტის მუშაობაში, და მხარი დაუჭირა 3 დღის ვადას, რომლის განმავლობაში მოწვეულებმა უნდა წარმოადგინონ პასუხი. კრენბორნის წინადადებით, ვადა დაწესებულია ორშაბათამდე, 27 სექტემბრამდე; მიუხედავად ამისა, კომიტეტმა, ამხ. ლიტვინოვის წინადადებით, დაადგინა რომ, თუ სახელმწიფოების პასუხი მიღებული იქნა ამ ვადამდე, კომიტეტს დაუყოვნებლივ მოიწვევენ.

23-ის კომიტეტი და ამერიკის შეერთებული შტატები

ჟენევა, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). დღეს გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის (ბერნში) ჰარისონის ნოტა ერთა ლიგის გენერალურ მდივნისადმი. ნოტაში ჰარისონი იუწყება, რომ მას მიეცა ინსტრუქციები მონაწილეობა მიიღოს 23-ის კომიტეტის სხდომაში იმავე საფუძვლებზე, რა საფუძველზედაც მონაწილეობას იღებდა მისი წინამოადგილე ამ კომიტეტის შექმნის დროს 1933 წელს, ე. ი. სათათბირო ხმით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აღნიშნავს, რომ, მისი აზრით, 23-ის კომიტეტი შექმნილი იყო იმისთვის, რომ სახელმწიფოებს—ერთა ლიგის წევრებსა და სახელმწიფოებს, რომელნიც არ შეიღან ერთა ლიგაში, შეეთანხმებინათ მოქმედებანი, მიმართული ერთა ლიგის მიერ რეკომენდებული პოლიტიკის განხორციელებისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ ლიგის წევრები შეუთანხმდებიან ერთმანეთს ამ პოლიტიკის შესახებ, „ლიგის ჩვეულებრივი პროცედურის თანახმად“.

როგორც ერთა ლიგის წრეებში ჰფიქრობენ ამერიკის ნოტის ეს ნაწილი ნიშნავს იმას, რომ 23-ის კომიტეტი არ უნდა ითვლებოდეს პასუხისმგებლად ჩინეთის საკითხის გადაწყვისათვის. ამისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ლიგის უზენაეს ორგანოებს, რომლისთვისაც 23-ის კომიტეტი მხოლოდ დამხმარე ორგანო წარმოადგენს. სხვანაირად რომ ითქვას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ სურს განმეორდეს 1933 წლის ისტორია, როცა ხელმძღვანელმა სახელმწიფოებმა — ერთა ლიგის წევრებმა შესძლეს თავის პასიურობის შენიღბვა იაპონია-ჩინეთის კონფლიქტში, თავს მოახვიეს რა დანაშაული 23-ის კომიტეტს და არაპირდაპირ კი ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ესპანეთის ფრონტებზე

(სსრ. დიპლომატთა სააგენტოს ცნობების მიხედვით)

ჩრდილოეთის ფრონტი

19 სექტემბერს საღამოს მეამბოხენი შეიჭრნენ ფრონტის აღმოსავლეთ სექტორში ონტორიას მხრით და წაიწიეს წინ სიერა ფორკალით ბენსუას მაღლობისაკენ. 20 სექტემბერს მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს პიედრას ბლანკასზე, მაგრამ რესპუბლიკელებმა ისინი მოიგერიეს და დიდი ზარალი მიაყენეს.

საჰაერო ბრძოლის დროს ხიხონის რაიონში რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ფაშისტთა ერთი ორმოტორიანი თვითმფრინავი, რომელიც ზღვაში ჩავარდა. ჰფიქრობენ, რომ მეამბოხეთა მეორე თვითმფრინავიც ჩამოგდებულია. რესპუბლიკელებმა ერთი თვითმფრინავი დაჰკარგეს.

სამხრეთის ფრონტი

რესპუბლიკელთა ჯარებმა ბოსობლანკოს სექტორში 12 კილომეტრით წაიწიეს წინ, მიუხედავად იმისა, რომ მეამბოხეები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ.

რესპუბლიკური ჯარების მიერ ჩატარებულ ოპერაციათა შედეგად უკანასკნელნი თავს დაჰყურებენ პენიაროასკენ მიმავალ რკინიგზას.

რესპუბლიკელთა ჯარებმა მარჯვენა ფრთაზე დაიკავეს გრანხა დე ტორეერმოსის (ბადახოსი) პირველი სახლები. კავალერიამ დაიკავა გზა, რომელიც ასუაგასთან (ბელმესის დასავლეთით) აერთებს ამ სოფელს. **იერიშის დროს განადგურებულ იქნა მეამბოხეთა ათასეული.**

ვალსეკილიოს სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა 20 სექტემბერს დაიკავეს მეამბოხეთა უკანასკნელი სიმაგრეები სიერა ტეხონერაში და ხელთ იგდეს მრავალი ტყვია-მფრქვევი, ზაშხანა და საომარი მასალა.

სიმას რაიონში მეამბოხეთა გაფთრებული საარტილერიო სროლის გამო რესპუბლიკელთა ჯარები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. რესპუბლიკელების მიერ წარმოებულ კონტრიერიშის დროს არტილერიამ გაანადგურა მეამბოხეთა ათასეული.

□

ფაშისტთა სამმა თვითმფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა ქალაქ მასნიუში (კატალონია, ბარსელონის ჩრდილოეთით). მოკლულია 5 კაცი, დაჭრილია 35.

ესპანეთის ფაშისტების თავდასხმა რესპუბლიკელთა წყალქვეშა ნავზე

პარიზი, 19 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). ჰავასის სააგენტოს ცნობით, 18 სექტემბერს ღამით სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილ ესპანელ მეამბოხეთა ჯგუფი (12 კაცი) ცდილობდა ხელთ ჩაეგდო ესპანეთის რესპუბლიკის წყალქვეშა ნავი „C-2“, რომლის რემონტიც ხდება ბრესტში (საფრანგეთი). ჯგუფს მეთაურობდა მოლალატე ლას ერასი, ყოფილი უფროსი ესპანეთის რესპუბლიკის წყალქვეშა ნავისა „C-4“, რომელიც სარემონტოდ დგას ლევერდონის ნავსადგურში (საფრანგეთი). ფრანგმა გუშაგმა განგაში ატეხა. „C-2“ წყალქვეშა ნავის ერთერთმა მეზღვაურმა ესროლა ერთერთ თავდამსხმელს და მოჰკლა იგი. ამის შემდეგ თავდამსხმელები, რომლებმაც შეიპყრეს „C-2“ წყალქვეშა ნავის მეთაური ფერნანდო და ოფიცერ-მექანიკოსი, გაიქცნენ და ცდილობდნენ ავტომობილით გადასულიყვნენ მეამბოხეთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, მაგრამ ბორდოს მახლობლად შეპყრობილ იქნენ.

საბჭოთა კავშირში

ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი ბელორუსიის სამხედრო ოლქის მანევრებზე

მანევრების რაიონი, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების მანევრებზე 21 სექტემბერს ჩამოვიდა თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი.

თავდაცვის სახალხო კომისარს მანევრების რაიონში შეხვდნენ ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის პირველი რანგის სარდალი ამხ. ბელოვი და ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი არმიის მეორე რანგის კომისარი ამხ. მეზისი. სახალხო კომისართან ერთად ჩამოვიდნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი არმიის პირველი რანგის სარდალი ამხ. შაპოშნიკოვი და ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვოლკოვი.

თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ ვოროშილოვის ჩამოსვლის აშბავი სწრაფად მოედო მანევრების რაიონს. ქალაქები, მუშათა ახალშენები, კოლმეურნეობები მორთულია ლოზუნგებით, პლაკატებით, ბაირაღებითა და ტრანსპორანტებით. ყველგან მოსჩანს ამხანაგი სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. მოსახლეობა მხურვალედ მიესალმება თავის მშობლიურ წითელარმიას და რკინის ნებაყოფლობით საზოგადოებრივ კომისარს კ. ე. ვოროშილოვს.

ამხანაგმა ვოროშილოვმა მთელი დღე დაჰყო ნაწილებში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მანევრებში, ყურადღებით ამოწმებდა რა მათ საბრძოლო მუშაობას.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის განმარტება

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტი განმარტავს, რომ საბჭოთა მეურნეობებმა თუ სურთ მონაწილეობა მიიღონ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, განცხადებები უნდა შეიტანონ სათანადო სახალხო კომისართა სახელზე (სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახკომის, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახკომის, სსრ კავშირის მიწსახკომისა. სსრ კავშირის შინსახკომის).

განცხადების პირი უნდა გაიგზავნოს რესპუბლიკურ, სამხარეო, ან საოლქო საგამოფენო კომიტეტში (საკ. დეპ. სააგენტო).

გოლშევიკის მორალური სახე

კაპიტალიზმის მგლური კანონია დასცეს ჩამორჩენილნი და სუსტნი, დაამონოს და ჩაგროს ღარიბნი. „ძველი საზოგადოება, — ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, — დაფუძნებული იყო ისეთ პრინციპზე, რომ ან შენ სძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან იგი შენთვის, შენ მონათმფლობელი ხარ, ან მონა ხარ. და გასაგებია, რომ ამ საზოგადოებაში ღირსეული ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებენ ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას, — ან მონათმფლობელი, ან მონა, ან წვრილი მესაკუთრე, წვრილი მოსამსახურე, წვრილი მოხელე, ინტელიგენტი, ერთი სიტყვით — ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ ჰქონდეს თავისი, ხოლო სხვისი საქმე მას არ ეხება“.

სწორედ ეს შეადგენდა საფუძველს ბურჟუაზიული მორალისას, რომელსაც ჰფარავს მაღალფარდოვანი, მყვირალა სიტყვები და ზღაპრები მარადულ საერთოსაკაცობრიო ზნეობრიობაზე.

როგორი სარკაზმით, როგორი გამამათრახებელი ძალით დაუზოგავად ააწკარავებდნენ მარქსი და ლენინი ბურჟუაზიული მორალის ფარისევლობას, სიცრუესა და პირფერობას. არ არსებობს მარადიული ზნეობრიობა და მარადიული მორალი! მარქსისტები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ მორალის ყველა აქამდე არსებული სისტემა, საბოლოო ანგარიშით, წარმოადგენდა სათანადო ეკონომიური წყობილების პროდუქტს.

კაპიტალიზმის სამყაროში შეჰქმნა თავისი ზნეობრიობა, რომელიც აკანონებს ჩაგვრას, ამართლებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ჰქადაგებს რა სიტყვით პატიოსნებას და სათნოებას, აწესებს რა ადამიანის ყოფაქცევის ნორმებს, ბურჟუა, ამბობს მარქსი, მარჯვედ გვერდს უხვევს თავისი რეჟიმით დამყარებულ წესებს, მაგრამ უნდა, რომ სხვებმა დაიცვან ისინი.

ჩვენი მორალი ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს და გამომდინარეობს კაცობრიობის ისტორიაში იმ უდიდესი ბრძოლის ინტერესებიდან, რომელიც სწარმოებს ახალი, სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრებისათვის, მილიონობით მშრომელთა გრძნობების, ფსიქოლოგიის, ცნებებისა და ჩვევების ახალი ლენინგრადისათვის.

ადამიანთა მასობრივი გარდაქმნა ხდება სოციალისტური მშენებლობის აქტიურ პროცესში. აწარმოებენ რა მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის გარდაქმნას, მუშები — ჩვენი ქვეყნის წამყვანი კლასი — აწარმოებენ არა მარტო თავის, არამედ ავრეთვე გლეხობის, ინტელიგენციის გარდაქმნას, ზრდიან მშრომელებში ახალ, სოციალისტურ თვისებებს, შრომისადმი, სახელმწიფოსადმი, კოლექტივისა და საზოგადოებისადმი ახალ დამოკიდებულებას.

ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმი არ შეიძლება მზამზარეულად მორთმეულ იქნას თეფშით — მას ბრძოლით მოიპოვებენ. სოციალისტური მშენებლობის ერთერთ უდიდეს ამოცანას წარმოადგენს კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლა ეკონომიკასა და მშრომელთა შეგნებაში. მორალი და ზნეობრიობა გვემსახურება ჩვენ იმისათვის, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს, განთავისუფლდეს კაპიტალიზმის ყველა სისაძაგლისაგან, რომლის საზომს ყველაფერში წარმოადგენს გამდიდრება, ფული.

უკვდავია კომუნისტური მორალის ლენინური პრინციპები. „კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდა, — გვასწავლიდა ვლადიმერ ილიასძე, იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ მას სთავაზობენ ყოველგვარ დამატკბობელ სიტყვებსა და წესებს ზნეობრიობის შესახებ. ამაში როდი მდგომარეობს აღზრდა... კომუნისტურ ზნეობრიობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდის, განთლებისა და სწავლების საფუძველიც. აი რაში მდგომარეობს პასუხი კითხვაზე, როგორ უნდა ვისწავლოთ კომუნიზმი“.

ყოველი მტკიცე ბოლშევიკი, პარტიული და არაპარტიული, მტკიცედ კომკავშირელი — ეს არის მებრძოლი, რომლისთვისაც მოვალეობის უმაღლესი ცნებაა სიყვარული და ერთგულება პარტიისადმი, მუშათა კლასისადმი, დაუცხრომელი სიძულვილი ხალხის ყველა მტრისადმი, ტროცკისტ - ბუხარინელ დივერსანტებისა და ჯაშუშებისადმი.

იცხოვრო და იმუშაო კომუნიზმისათვის, მილიონიანი მასებისათვის, მომავლის თავისი თავი სამშობლოს მომავალი ბრძოლებისათვის, — დასაცავად — რა შეიძლება იყოს ამ დიად მიზანზე უფრო მაღალი და საპატიო!.. საბჭოთა ადამიანმა მთელი თავისი ცხოვრების კანონად უნდა გაიხადოს სტალინის სიტყვები, ღრმასწყინი ბოლშევიკური გზნებითა და კეთილშობილებით: „ჩემი თვითეული ნაბიჯი ჩემს მუშაობაში მუშათა კლასის ამაღლებისა და ამ კლასის სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის იქითკენ რომ არ იყოს მიმართული, რომ განტკიცდეს და გაუჯახებდეს მუშათა კლასის მდგომარეობა, მაშინ ჩემს ცხოვრებას უმრწყინვალო ჩავთვლიდი“.

პარტიულობის სულით, ბოლშევიზმის სულით უნდა იყოს გამსჭვალული საბჭოთა მოქალაქის ცხოვრება — პირადი და საზოგადოებრივი. არ შეიძლება, მაგალითად, იყო ბოლშევიკი, კომკავშირელი წარმოებაში და აპოლიტიური, „უპარტიო“ ყოფაცხოვრებაში, კერძო ცხოვრება შიც. ბოლშევიკის მორალური სახე იქმნება საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო ნიშნებისაგან. ამორალობა პირად ცხოვრებაში იწვევს უწმინდურობას პოლიტიკაში.

ბოლშევიზმისათვის უცხოა, მაგრა წარმოდგენა ყოფაცხოვრებაზე, როგორც პოლიტიკას დაშორებულ კერძო საქმეზე. თავის საზიზღარ ძირგამომთხრელ მუშაობაში ხალხის მტრები, რომელნიც საკ. ალკ ხელ მძღვანელ ორგანოებშიაც გაძვრნენ მოქმედებდნენ, სწორედ ახალგაზრდობის პოლიტიკურ და საყოფაცხოვრებო გახრწნის მეთოდით, პირველ რიგში კი ლოთობით.

საძაგელი თვალთმაქცები ყოფაცხოვრებაში ეძებდნენ ნიადაგს თავისი საზიზღარი მუშაობისათვის, არამტკიცე ადამიანთა გახრწნისათვის. პირმთოთეობითა და ლოთობით, მლიქვნელობითა და „შეგობრული დამოკიდებულებით“, თანაგრძნობით ურთიერთი თავდებობით ისინი თავის ბადეში აბამდნენ კომკავშირის მუშაკებს, რომელთაგან ბევრი ჩაეფლო მეშჩანობის, დამყაყებულობის, აპოლიტიურობის ჭაობში. რა ფასი აქვთ კომკავშირის იმ ხელმძღვანელებს, რომელთა თვალწინ მოქმედებდნენ ხალხის მტრები კომკავშირულ ორგანიზაციებში? ესენი არ არიან პოლიტიკური მებრძოლები, ესენი — მეშჩანებია, რომელნიც ცხოვრობენ ობივატელური პრინციპით: „რა ჩემი საქმეა — მე არ მეხება“. ისინი მეგობრობდნენ ხალხის მტრებს, ისინი ხედავდნენ, თუ რა უმსგავსობა ხდებოდა — მაგრამ — სდუმდნენ. მათ წინააღმდეგ უნდა მივმართოთ გამანადგურებელი ცეცხლი.

ბოლშევიკის სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთია. პარტია ზრდის საბჭოთა მოქალაქეებს, რომელნიც სიცოცხლის აზრს ხედავენ არა მეშჩაურ სიმშვიდეში, არამედ სოციალიზმისთვის აქტიურ ბრძოლაში ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ბურჟუაზიული მოჩვენებითი კეთილწესიერებისა, მორჩილებისა და თვალთმაქცური სათნოებისა. ადამიანებს, რომელთაც მიღრეკილება აქვთ ფარისევლობისაკენ, მექრთამეობისაკენ, კომპრომისებისა და ზნეობრივი რყევებისაკენ, ჩვენი სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინი ზიზღით უწოდებდა „დასაკეც სულებს“. „დასაკეცი სულის“ მქონე ადამიანების გაძევება, ხალხის მტრების, დივერსანტების ჯაშუშების და მათ ხელშემწყობთა განადგურება — ზნეობრივი მოვალეობაა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისა, ყველა პატიოსანი ადამიანისა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს ინტერესები, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი და ინტერესები.

კომუნიზმს თან მოაქვს არა ასკეტიზმი, არამედ სიხალისე, მზნეობა, სულიერი ინტერესთა მრავალმხრივობა, თავისუფალი პიროვნების გაფურჩქნება. რევოლუცია მასებისაგან, პიროვნებისაგან მოითხოვს ძალების მოკრებას, დაძაბვას. ამას გვასწავლიან ჩვენ ლენინი და სტალინი. სოციალისტური ჰუმანიზმი ჰგულისხმობს უდიდეს პრინციპულობას, დაუზოგავ, მეშჩაურ სანტიმენტალობას მოკლებულ ბრძოლას რევოლუციის ყველა და ყოველგვარი მტრის წინააღმდეგ.

ჩვენ თავისი ბედის შემოქმედნი ვართ, ჩვენ თვითონ შევქმენით ადამიანის ყოფაცხოვრების ჩვენი ნორმები, ჩვენი ზნეობრიობა და მორალი. ყოველივე, რაც მშრომელებმა მოიპოვეს პარტიის ხელმძღვანელობით, ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში. ჩვენ მონიჭებული გვაქვს მსოფლიოში უდიდესი უფლებანი, ჩვენ დაკისრებული გვაქვს აგრეთვე დიდი მოვალეობანიც. სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე მოვალეა შესრულოს კანონები, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივი სცეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. სამშობლოს დაცვა, საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების მოცვა და განმტკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკურად აღვზარდოთ კომკავშირული თაობა

თბილისის შაუდის ფაბრიკის სტახანოველი ამხ. კვარაცხელია დაზგასთან მუშაობის დროს

ფოტო გინზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კომკავშირის მუშაობაში გამოსავალ კუნძტად გავხადოთ ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგის განხორციელება, გავაუმჯობესოთ პოლიტიკური მუშაობა მასებში, განსაკუთრებით მოსწყავლე ახალგაზრდობასა და სოფლის ახალგაზრდობაში.

უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი კომკავშირის პოლიტიკურ - აღმზრდელობითს მუშაობაში; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პოლიტიკური, პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებას ახალგაზრდობის მასებში.

ლ. ბერია

ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა

ე. კიკნაველიძე.
საქ. ალკკ ტრამვაის კომიტეტის მდივანი.

„რა ჰქმნის ჩვენს ქვეყანას მდიდრად და უძლეველად? უწინარეს ყოვლისა, ჩვენი შრომა, სტახანოველთა შრომა“,—ნათქვამია ლენინგრადის ორდენოსან კომკავშირელთა მოწოდებაში ახალგაზრდობისადმი.

... და ჩვენ, ტრამვაელი კომკავშირელები, ვეკითხებით ჩვენს თავს, როგორია ჩვენი შრომა? რა წარმატებებით ხვდებიან ტრამვაელი კომკავშირელები დიდი ოქტომბრის 20 წლისთავს? ამ ბოლო დროს ტრამვაელმა კომკავშირელებმა მუშაობა გააუმჯობესეს. წარმოებაში გაიზარდა კომკავშირელ სტახანოველთა რიცხვი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტრამვაის დირექციიდან განიდევნენ მავნებლები, კომკავშირელ სტახანოველთა პროცენტი 50-დან 80-მდე გაიზარდა.

ტრამვაის ორგანიზაციაში მოკალათებული მავნებლები ცდილობდნენ ჩაეშალათ ახალგაზრდობაში სტახანოვური მოძრაობის, კულტურული და პოლიტიკური განათლების საქმე, ხელოვნურად აფერხებდნენ ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას, კადრების მომზადება-გაწაწილებას. ტრამვაის ყოფილი დირექტორი არ ფარავდა თავის გესლს კომკავშირელთა მიმართ. ის სდევნიდა აქტივისტ კომკავშირელებს, „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო“, და ეს გარეწარი ადამიანი ხშირად ანთხევდა ხოლმე ღვარძლიან სიტყვებს კომკავშირელების მიმართ: „ეჰ, თქვენი დრო არ იყოს, გიჩვენებდით სეირსო!“... ამ საზიზღარი ადამიანის განდევნის შემდეგ ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას გასაქანი მიეცა. ტრამვაის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ გამოზრდილი რამდენიმე საუკეთესო კომკავშირელი ამჟამად ხელმძღვანელ პოსტებზეა დაწინაურებული. ამხ. მარგიშვილი, ტრამვაის კომიტეტის ყოფილი მდივანი, დაწინაურებულია საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მეორე მდივნად, ვერტენკო—კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად. ასევე პასუხსაგებ პოსტებზე დაწინაურებული არიან კომკავშირელები—მ. მანდენაშვილი, ქ. მესხი, დ. სეფეროელაძე და სხვ.

ახლო წარსულში ტრამვაის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკური პარტიის რიგებს გადასცა 21 საუკეთესო კომკავშირელი. მალე საქ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომი კიდევ გაარჩევს 11 ტრამვაელი აქტივისტი კომკავშირელის განცხადებებს პარტიაში მიღების შესახებ.

პროპაგანდა და პოლიტიკური აგიტაცია ტრამვაის კომკავშირის ორგანიზაციაში წარსულთან შედარებით გაუმჯობესდა. მოძრაობის დარგში ამ ერთი თვის წინათ სრულიად მივიწყებული იყო საავიტაციო მუშაობა, გავრცელებული იყო მავნე აზრი,—მოძრაობის დარგში საავიტაციო მუშაობა მოუხერხებელი და შეუძლებელიაო. ამიტომ დღემდე აგიტატორებიც არ გამოუყვიათ. როცა კომიტეტმა გულდასმით შეისწავლა მოძრაობის დარგის „სპეციფიკური“ პირობები, აღმოჩნდა, რომ საავიტაციო მუშაობის გაწევა იქ საკმაოდ შესაძლებელია. ახლა მოძრაობის დარგში 23 აგიტატორი და წამკითხველ-მოსაუბრეა გამოყოფილი. ამ ცოტა ხანში კომკავშირელმა აგიტატორებმა დაამუშავეს საქ. ალკკ მე-4 პლენუმის შედეგები, ჩინეთისა და ესპანეთის ამბები და სხვა.

ლენინის ქალაქის ორდენოსან კომკავშირელთა მოწოდების საფუძველზე ტრამვაის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით ჩამოყალიბდა დიდი ოქტომბრის 20 წლისთავის სახელობის ბრიგადა, რომელიც სანიმუშოდ მუშაობს. სტახანოვური მუშაობის გამოკდილების ფართო ურთიერთგაზიარების მიზნით კომკავშირის ინიციატივით საავტობაზის მეურნეობის, რაიაღმასკომის და სხვ. ორგანიზაციებიც.

კომკავშირის ზუგდიდის რაიკომიდან დაყოლაპია ხელმძღვანელები გაადევს, მაგრამ პოლიტსწავლების საქმეს ახალი ხელმძღვანელობის ხელი ჯერ არ დასტყობია.

საჭიროა კომკავშირის ზუგდიდის რაიკომმა უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდოს ხელი პარტიის ისტორიის სწავლებას და სავსებით უზრუნველყოს ამ დარგში საქ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

ბ. გრიგოლია.

ტრამვაის სახელოსნოს კომკავშირელი სტახანოველი ამხ. კახეთელიძე, გეგმის 143 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გინზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

შევუდექით მუშაობის გარდაქმნას

კომკავშირული ორგანოების ანგარიშებისა და არჩევნების შემდეგ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელი ქარხნის პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელობაში ახალ აქტივისტთა მოსვლა და საამქროებში მუშაობის გამოცოცხლება უკვე საგრძნობი გახდა.

მაგრამ ჩვენს მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახასიათებს. მაგალითად, ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის დაყენების საქმეში. ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენს ორგანიზაციებში არასაკმარისადაა გაშლილი.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმის დადგენილება, მიღებული ამხ. კოსარევის მოხსენების გამო, წარმოადგენს მთელი ჩვენი მუშაობის გარდაქმნის პროგრამას.

საქ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის დადგენილებამ, რომელიც ქარხნის ყველა საამქროში დავამუშავეთ, გაამახვილა კომკავშირის აქტივის და ყველა კომკავშირელის სიფხიზლე. ქარხნის კომკავშირმა გამოამჟღავნა და მკაცრად გააკრიტიკა მორალისა და ყოფაცხოვრების მხრივ არამტკიცე კომკავშირელები.

სიგნალებს ისეთ კომკავშირელთა შესახებ, რომლებიც ლოთობენ, ხულიგნობენ, აცდენენ სამუშაო დღეებს და დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოებაში, დღემდე საკმაო ყურადღებას ვერ ვაქცევდით.

მუშათა საერთო საცხოვრებელში ხშირია ზოგიერთი კომკავშირელის ლოთობა და ხულიგნობა. თვით კომკავშირის ორგანიზატორი აფანასიეც კი ლოთობს. საბარგო-სავაგონო საამქროს კომკავშირელმა შ. ხოშტარიამ, რომელიც წარსულში საუკეთესო ზეინკლად ითვლებოდა, უკანასკნელ ხანებში ქეიფს მიჰყო ხელი და წარმოებაზე გული აიცრუა. მას იშვიათად ხედავენ კომკავშირელ ამხანაგთა შორის, არ ესწრება კრებებს, სისტემატიურად აცდენს პოლიტსკოლის მეცადინეობას, ბოლო დროს წარმოებაშიც აღარ დადის. ჩვენი ქარხნის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციას, რომელიც ხუთასზე მეტ კომკავშირელს აერთიანებს, პარტორგანიზაციის კარგი ხელმძღვანელობა და დახმარება ესაჭიროება, რათა შესძლოს კომკავშირის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულება.

კომკავშირის კომიტეტი, რომელმაც შეიგნო რაში მდგომარეობს მისი შეცდომები და ნაკლოვანებანი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ აღმოფხვრას არსებული დეფექტები და ნამდვილად ჩადგეს სახელოვანი კომკავშირის მოწინავე ორგანიზაციათა რიგებში.

ს. მამულაიშვილი.
თბილისის სტალინის სახ. სარეშონტო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

უკეთესად ვასწავლოთ პარჭვის ისტორია

პარტიის ისტორიის სწავლება ზუგდიდის კომკავშირულ ორგანიზაციებში უნუგეშო მდგომარეობაშია. ეს იმით აიხსნება, რომ საქ. ალკკ ზუგდიდის რაიკომს სათავეში ედგა მოლაყბე ვ. ბეჭვაია, ხოლო პოლიტსწავლების სექტორს დოყლაპია ვ. ესებუა განაგებდა. რაიონში არსებულ პარტისტორიის შემსწავლელი 60 წრიდან დამაკმაყოფილებლად მხოლოდ ოთხი თუ ხუთი მუშაობდა.

რაიკომს პროპაგანდისტების დასახმარებლად არავითარი ღონისძიება არ მიუღია. მთელი მუშაობა იმაში გამოიხატა,—რომ ქალაქზე ჩამოაყალიბეს პროპსემინარი, რომელიც ხელმძღვანელის უყოლობის გამო 1937 წელს ერთხელაც არ მოწვეულა.

ცალკეულმა პროპაგანდისტებმა რაკი დაინახეს, რომ პარტისტორიის სწავლება მიტოვებული უბანია და მას ყურადღებას არავინ აქცევს, ამ საქმეს თვითონაც ალმაცერად დაუწყეს მზერა. პროპაგანდისტმა ი. ესებუამ სრულებით ჩაშალა ქალაქის საბჭოსთან არსებული პარტისტორიის შემსწავლელი წრის მუშაობა. ასეთივე მდგომარეობაა ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, რაიაღმასკომის და სხვ. ორგანიზაციებიც.

კომკავშირის ზუგდიდის რაიკომიდან დაყოლაპია ხელმძღვანელები გაადევს, მაგრამ პოლიტსწავლების საქმეს ახალი ხელმძღვანელობის ხელი ჯერ არ დასტყობია.

საჭიროა კომკავშირის ზუგდიდის რაიკომმა უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდოს ხელი პარტიის ისტორიის სწავლებას და სავსებით უზრუნველყოს ამ დარგში საქ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

ბ. გრიგოლია.

ავამაღლოთ მუშაობის ხარისხი

საქ. ალკკ ფოთის ორგანიზაციის განვლილ მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. ხშირად ირღვეოდა შინასაკავშირო დემოკრატია. მაგალითად, კოლხიდშენის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. მესხი სხვა რაიონში სამუშაოდ ისე წავიდა, რომ კომკავშირის ორგანიზაციისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია. თბოელსადგურის კომკავშირის ორგანიზაციაში, როცა კომიტეტის მდივანი ჰოჭუა გაახთავისუფლეს, მას კომკავშირის ორგანიზაციისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია. ქალაქის საბჭოსთან არსებული კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი ნ. მესხი ქალაქკომმა გაანთავისუფლა და მდივნობა ამხ. გაგუას დაავალა ისე, რომ ამის შესახებ პირველადმა ორგანიზაციამ არაფერი იცოდა. მოზრდილთა სრული საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტმა მერვე კლასში ჯგუფორგად ამხ. ძნელაძე დანიშნა. ასე უხეშად არღვევენ შინასაკავშირო დემოკრატიას ფოთის ცალკეული კომკავშირული ორგანიზაციები.

არის შემთხვევები, როცა კრების მოწვევისა და მომზადების წესებს არ იცავენ. მოუმზადებლად მოეწყო, მაგალითად, ხორკომბინატის კომორგანიზაციის კრება, რომელზედაც საქ. ალკკ ც. კ-ის მესამე პლენუმის დადგენილებებს ამუშავებდნენ. ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება 15 დღის განმავლობაში გაუფორმებელი იყო. ასევე ცუდად ეწყობოდა საკავშირო დღეები კუნძულის, ნაბადისა და გრეიჰფრუტის ორგანიზაციებშიც. და, როგორც ამისი პირდაპირი შედეგი, აქ კომკავშირელთა აქტივობა შენელდა, მიღებული დადგენილებანი ზერელე და ზოგად ხასიათს ატარებს.

ბევრია დეფექტები პოლიტსწავლების დარგში. პოლიტსკოლები და წრეები ყველგან კარგად როდია დაკომპლექტებული. სახელმწიფო თეატრთან არსებულ პარტისტორიის შემსწავლელ წრეში მცირემცოდნე კომკავშირელებიც (გოგოლაშვილი, ჭაკუა) არიან ჩარიცხული. ჭალადიდს სრულ საშუალო სკოლასთან არსებულ პოლიტსკოლაში მოწაფეები და მასწავლებლები ერთად მეცადინეობენ.

კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციაში კრიტიკა და თვითკრიტიკა ჯერ კიდევ არ არის გაშლილი. ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცვლად ზოგან მლიქვნელობა და პირფერობა ბატონობს. მაგალითად, კომკავშირელებმა ჭიბულავამ, სტეფანოვმა, მიმინოშვილმა და სხვ., ნაცვლად იმისა, რომ გაეკრიტიკებინათ ნავსადგურის ხელმძღვანელთა სუსტი მუშაობა, ხოტბა შეასხეს მათ.

კომკავშირის სასკოლო ორგანიზაციები სუსტად იბრძოდნენ სწავლების ხარისხისათვის. მაგალითად, პედაგოგიურ სასწავლებელში შარშან სასწავლო წლის დასაწყისში 10 ფრიადოსანი იყო, წლის დასასრულისათვის ეს რიცხვი ხუთამდე შემცირდა. ასეთივე მდგომარეობა იყო ჭალადიდის საშუალო სკოლაშიც. კომკავშირის სასკოლო ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა მიეღოთ გადამჭრელი ზომები, რომ მიმდინარე სასწავლო წელს გაზარდონ ფრიადოსანთა რიცხვი.

საქ. ალკკ ფოთის საქალაქო ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი და ახალი მიღწევებით წარსდგეს საქართველოს კომკავშირის მე-13 ყრილობის წინაშე.

გრ. გოლძვაძე.

ყრილობას ახალი მიღწევებით შევეგებოთ

ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში კლასობრიგადა მტრებმა ისარგებლეს ქარხნის კომკავშირის რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებით და დიდხანს ეწეოდნენ დივერსიულ - მავნებლურ მუშაობას. კომკავშირის კომიტეტი პოლიტიკურად იმდენად ბეცი აღმოჩნდა, რომ ვერ შეამჩნია რა ხდებოდა მის ცხვირწინ, ქარხანაში. ეს მოხდა იმიტომ, რომ კომკავშირის კომიტეტს სათავეში ედგა გახრწნილი და გადაგვარებული ადამიანი ვ. ახვლედიანი, რომელმაც გზა დაუბნია კომკავშირელებს, ჩაახშო თვითკრიტიკა, მასობრივ - აღმზრდელობითი მუშაობა უხეში ადმინისტრირებით შესცვალა.

ახვლედიანის წინააღმდეგ ცალკეული კომკავშირელები ეელარაფერს ამბობდნენ იმის შემდეგ, რაც ამ სახიზღარმა ტაპა პიონირთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხ. ზინა ჭიქოშვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკისათვის დასაჯა.

ამხ. ფატი ტყეშელაშვილმა, ჯიმშელეიშვილმა და დავით ლაღიძემ კომკავშირის კომიტეტს სიგნალები მისცეს, ქარხნის დირექტორი ი. თავშავაძე და სხვები მავნებლობას ეწევიანო. ახვლედიანმა ამ სიგნალებს იმით უპასუხა, რომ კომკავშირის ორგანიზაციაში საკითხი დააყენა ამ ამხანაგების გარიცხვისა და სამუშაოდან მოხსნის შესახებ.

გადაგვარებული ახვლედიანი უხეშად პრვეედა შინასაკავშირო დემოკრატიას. მან შესძლო კრებაზე თავისი გეგმანა და გოგი სარაძე კომკავშირის რიგებიდან გაერიცხა, მაშინ როდესაც კომკავშირელები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. ამხ. სიხარძე გარიცხვისას კრებას არ დასწრებია.

ახვლედიანის დანაშაულებრივ მოქმედებას მხარს უჭერდნენ ცალკეული კომკავშირელები: მ. სკანდელიძე, ს. ასათიანი, გ. ძნელაძე, ს. ლორთქიფანიძე, ანდრო მხელიძე.

დამახასიათებელია მ. სკანდელიძის მოქმედება: როცა მავნებლები მეძავ ქალებთან სახელმწიფო ფულით ქეიფობდნენ, სკანდელიძემ მაღნებელ დირექტორს მიართვა თავაული და მანდარინით სავსე ხონჩა წარწერით — „დიდად პატივცემულ დირექტორს“.

ასეთ პირობებში 1937 წლის პირველი კვარტალის გეგმა 26 პროცენტით რომ შესრულდა, ისიც გასაკვირველია.

და როცა ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია ულირსი ადამიანებისაგან გაიწმინდა, იქ ფართოდ გაიშალა კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღმოიფხვრა შინასაკავშირო დემოკრატიის დარღვევის შემთხვევები, გაცხოველდა კომკავშირული წრეები, გაჯანსაღდა კულტმასობრივი მუშაობა ახალგაზრდობას შორის. კომკავშირში მოვიდნენ ახალი ადამიანები. ერთი თვის განმავლობაში ქარხნის კომკავშირმა თავის რიგებში 12 ახალგაზრდა მიიღო. მუშაობის ახალმა სტილმა გამოხატულება ჰპოვა საწარმოო გეგმების შესრულებაში. 2 კვარტალის გეგმა 103,7 პროცენტით შესრულდა.

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კომკავშირი გააძლიერებს რევოლუციურ სიფხიზლეს და მაღალი მჭიდრებლებით შეეგებება საქართველოს კომკავშირის ყრილობას.

ე. გუგელაძე.

შ. ჯანუყვაძე
საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

სანიმუშოდ ჩავატაროთ კომკავშირის აქტივის კრებები

ამ ერთი თვის წინათ შესდგა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა ერთი საკითხი: ამხ. **კოსარევის** მოხსენება „კომკავშირის შიგნით ხალხის მტრების მუშაობის შესახებ“.

ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული პლენუმი და მისი დადგენილება ამხ. კოსარევის მოხსენების გამო სრულიად ახალ საბრძოლო ფურცელს შლის ახალგაზრდობის ლენინური კავშირის წინაშე, ახალ საპასუხისმგებლო ამოცანებს უყენებს კავშირის თვითეულ რგოლს, თვითეულ ხელმძღვანელ მუშაკს, რომლებიც გადაჭრით აძლიერებენ ახალგაზრდობის — ოქტომბრის რევოლუციის მშვენებისა და სილამაზის — აღზრდას, სწავლებას, და განათლებას.

ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილება ამხ. კოსარევის მოხსენების გამო უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, სადაც სავსებით თვალნათლივ სჩანს მტრის უსაზიზღრესი სახე, მისი ბინძური საქმიანობა. პლენუმის გადაწყვეტილება — გაშლილი პროგრამაა მთელ ჩვენი კავშირისათვის, გაშლილი პროგრამაა თვითეული კომკავშირელი მუშაკისათვის. ის გვაიარაღებს ახალი ამოცანებით, გვასწავლის მტრებთან ბრძოლის მეთოდებსა და ხერხებს, მოგვითითებს იმ ამოცანებისაკენ, რომელნიც უნდა შეასრულოს კომკავშირმა, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის ორგანიზატორმა.

როგორია კონკრეტულად სამუშაო, რომლითაც უნდა განიმსჭვალოს მთელი ჩვენი კავშირის ცხოვრება?

რით უნდა დავიწყოთ?

უპირველეს ყოვლისა, საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილების ფართოდ განმარტებით. მთელი ჩვენი კომკავშირის აქტივის კრებები ყოველმხრივ ორგანიზებულად უნდა ჩატარდეს. მაგრამ, სამწუხაროდ პირველ დღესვე წავაწყდით ამის საწინააღმდეგო მდგომარეობას.

კომკავშირის თბილისის რაიონული აქტივის კრება, რომელიც მოწვეული იყო 19 სექტემბრისათვის, არ შესდგა, ჩაშალა. მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ კომკავშირის რაიკომის მდივნის მოადგილემ არ. ქორახაშვილმა აშკარა უპასუხისმგებლობა გამოიჩინა კრებისათვის მომზადების მხრივ, ვერ უზრუნველჰყო აქტივის შეკრება და ამ უდიდესი მნიშვნელობის საკითხის დროულად და საქმიანად განხილვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის რაიონის პარტიულმა კომიტეტმაც არ გაუწია დახმარება კომკავშირის რაიკომს აქტივის კრების ჩატარებაში. ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. მსგავს ფაქტებს კომკავშირი არ დაუშვებს. აქტივის კრება უნდა ჩატარდეს სანიმუშოდ, დანიშნულ დროს, დაიწყოს დაწესებულ საათზე, მთელი კომკავშირული აქტივის თანადასწრებით.

იმ მიზნით, რომ აქტივის კრების ჩატარებისას თავიდან აცილებულ იქნას შეცდომები და ნაკლოვანებანი, საჭიროა გავითვალისწინოთ საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქ. ალკკ სმოლენსკის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის მიერ პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვის შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა არასწორად სცნო საქ. ალკკ სმოლენსკის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრების მუშაობა.

სმოლენსკის კომკავშირის აქტივის კრების ეს სამარცხვინო მაგალითი და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქ. ალკკ სმოლენსკის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრების გაუქმების შესახებ სახეზე სერიოზული გაფრთხილებაა თვითეულ რაიკომისა და საქალაქო კომიტეტისათვის. დასკვნები ახლავე უნდა იქნას გამოტანილი და გამოყენებული.

აქტივის კრება ბოლშევიკური თვითკრიტიკის წესით უნდა ჩატარდეს.

კომკავშირულ ორგანიზაციებში ხალხის მტრების მავნებლური საქმიანობა, როგორც ეს პლენუმმა აღნიშნა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ არ სწარმოებდა ბოლშევიკური კრიტიკა. მუშაობის ნაკლოვანებებისა და შეცდომების ურთიერთ კრიტიკა. კომკავშირის მუშაკებს შორის პოლიტიკური, საქმიანი ურთიერთობა შეცვლილი იყო ძმაბიჭური, დოსტური ურთიერთობით, ყოველივე ეს კი ძირს უთხრის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და ხელმძღვანელის საფუძველს, ყოველივე ეს ჰქმნის ჟინრიციპობას, უდიდეურობას და უპასუხისმგებლო ურთიერთთავდებობას.

კრიტიკა უნდა იყოს მიუდგომელი, პრინციპული, ჯანსაღი, პიროვნებათა მიუხედავად. მით უმეტეს ახლა, როცა საქმე ეხება ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს, კომკავშირში თვალთმაქცურად შემოპარული მტრების მავნებლური საქმიანობის გამომძღვანებასა და მოსპობას. ზემოთქმა არ იქნება მოვაგონოთ ჩვენს კომკავშირულ აქტივს საქ. ალკკ ც. კ-ის IV პლენუმის დადგენილება:

„პლენუმი ავალებს ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას — თანამდებობიდან მოხსნას ის კომკავშირელი მუშაკები, რომლებიც შეეცდებიან ჩაახშონ ან შეზღუდონ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა კომკავშირში“.

ახალი ამოცანებით შეიარაღა ჩვენმა ლენინ-სტალინის პარტიამ საქ. ალკკ ც. კ-ის უკანასკნელ პლენუმზე მთელი კომკავშირული აქტივი, სამუშაო, უთუოდ, დიდი და პასუხსაგებია. მაგრამ შეუძლებელია ამ ამოცანებს, ამ სამუშაოს კომკავშირმა წარმატებით გაართვას თავი პარტიული ორგანიზაციების მხრით ხელმძღვანელობის გაუძლიერებლად. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ წარსულის გაკვეთილები. მუდამ უნდა გვახსოვდეს: იქ, სადაც პარტიულმა ორგანიზაციებმა შეუსუსტეს ყურადღება და დახმარება კომკავშირისადმი, იქ, სადაც კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ასე ვთქვათ, „თავისუფლად“ იგრძნეს თავი, ადგილი ჰქონდა კომკავშირული ორგანიზაციების დანაგვიანებას მტრული ელემენტებით.

რას მოწმობენ ის ფაქტები, რომ ბაღდათის, კასპისა და ახალქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებს კარგახანს სათავეში ედგნენ ხალხის ამჟამად მხილებული მტრები?

სამწუხაროდ იმას, რომ ამ რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველჰყვეს ყოველდღიური დახმარება და ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი. კომკავშირის ხელმძღვანელ მუშაკთა პოლიტიკურ და საქმიან შემოწმებას ზოგჯერ სცვლიდნენ ზერელე ნდობით და საფუძვლიანად არ გაითვალისწინეს კომკავშირის შიგნით მავნებლური და დამპრავველი მუშაობის შესაძლებლობა.

საქ. კ.პ. (ბ) რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა ცოცხალი დახმარების გაწევით აქტივის მომგვრება პლენუმის დადგენილების განსამარტებლად, კვალიფიციური პარტიული პროპაგანდისტების გამოყოფა კომკავშირში სამუშაოდ და სხვ.) უნდა უზრუნველყონ კომკავშირის აქტივის და პირველადი ორგანიზაციების კრებების სანიმუშოდ ჩატარება.

საჭიროა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ქვა - კუთხედად გადაიქცეს ამხ. **ლ. ბერიას** მითითება: „იმ ახალ გადიდებულ მოთხოვნებთან შეფარდებით, რომლებსაც კომკავშირს უყენებენ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, საჭიროა გარდავქმნათ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო მტკიცედ, უფრო მეტი გულისხმიერებითა და ყურადღებით უნდა დაეხმარონ კომკავშირს ამ ამოცანის გადაჭრაში“.

საქართველოს კომკავშირი ბოლშევიკურად იმუშავებს! ამის თავდებია ის სიყვარული, ზრუნვა და საქმიანი დახმარება, რომელსაც უწევენ კომკავშირსა და ახალგაზრდობას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად დიდი **სტალინის** საუკეთესო თანამებრძოლი, ახალგაზრდობის საყვარელი მეგობარი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობა

საშემოდგომო კულტურების თესვისა და მზრალად ხვნის მიმდინარეობის შესახებ 1937 წლის 15 სექტემბრისათვის

რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები	დათესილ. საშ. კულტურ.					მზრალად მოხნულია				
	სულ		აქედ. %%-ით გეგმის მიმართ.			სულ		აქედ. %%-ით გეგმის მიმართ.		
	ათასი ჰექტ.	%%-ით გეგმის მიმართ	კოლმეურნეობების მიერ	საბჭ. მეურნეობების მიერ		ათასი ჰექტ.	%%-ით გეგმის მიმართ	კოლმეურნეობების მიერ	საბჭ. მეურნეობის მიერ	
				საბჭ. სახ. კომისარ.	სსრ კავშირის მიწისაბჭოს				საბჭ. სახ. კომისარ.	სსრ კავშირის მიწისაბჭოს
რსფსრ რესპუბ.	19463	82	88	63	60	4456	9	9	6	8
უკრაინის სსრ	7790	81	82	69	77	994	8	8	16	20
ბელორუსიის სსრ	884	88	90	42	42	199	12	12	12	5
აზერბაიჯანის სსრ	2	0,4	0,4	—	—	44	14	15	—	—
საქართველოს სსრ	4	1	1	—	—	20	8	8	—	—
სომხეთის სსრ	21	17	18	—	—	13	7	7	—	—
თურქმენეთის სსრ	4	3	3	—	—	1	1	1	—	—
ყაზახეთის სსრ	225	50	54	6	21	341	9	10	2	2
ყირგიზეთის სსრ	37	17	16	48	69	9	2	2	3	—
რსფსრ მხარეები, ოლქები და ავტ. რესპუბლიკები										
ახოზ-შავი ზღვის ძხარე	1180	44	43	55	23	421	9	9	6	8
შორეულ აღმოსავლეთის მხარე	9	85	85	—	—	104	20	22	8	8
დასავლეთ ციმბირის მხარე	530	93	92	97	84	141	4	4	4	3
კრასნოიარსკის მხარე	212	96	98	45	—	35	6	6	3	—
ორჯონიკიძის მხარე	426	38	39	30	14	125	9	9	7	14
ვორონეჟის ოლქი	1931	91	91	85	94	234	7	7	13	6
აღმოსავლეთ ციმბირის ოლქი	139	95	95	90	102	10	4	5	3	4
გორკის ოლქი	677	94	89	104	86	75	8	8	9	5
დასავლეთ. ოლქი	940	101	102	105	82	195	11	11	16	8
ივანოვოს ოლქი	334	103	102	97	80	75	14	14	5	6
კალინინის ოლქი	504	100	101	100	97	170	15	15	26	11
კიროვის ოლქი	885	104	104	100	102	183	18	18	8	5
კუიბიშევის ოლქი	1142	79	80	82	93	117	3	3	4	4
კურსკის ოლქი	1440	96	96	100	97	205	9	9	11	9
ლენინგრადის ოლქი	401	100	100	133	71	116	11	11	7	12
მოსკოვის ოლქი	1356	101	100	109	85	224	10	9	18	12
ომსკის ოლქი	320	93	95	72	63	57	4	3	4	4
ორენბურგის ოლქი	576	95	97	85	73	274	10	11	4	3
სარატოვის ოლქი	709	76	77	73	100	148	6	6	4	18
სვერდლოვსკის ოლქი	611	101	100	106	75	124	10	10	5	3
ჩრდილოეთის ოლქი	283	99	99	108	—	36	7	7	10	—
სტალინგრადის ოლქი	833	89	89	92	100	343	12	12	13	—
ჩელიაბინსკის ოლქი	447	92	95	74	87	70	3	4	1	6
იაროსლავის ოლქი	285	101	101	100	81	59	10	10	12	13
თათართა ასსრ	1026	100	100	97	101	216	11	11	4	10
ბაშკირეთის ასსრ	851	99	100	94	88	212	9	10	3	11
დაღისტნის ასსრ	2	1	1	15	15	5	3	2	5	26
ბუოიატ-მონღ. ასსრ	31	70	70	—	—	2	2	2	—	9
ყაბარდო-ბალკარ. ასსრ	20	25	25	28	—	21	28	31	—	0,2
ყალმუხეთის ასსრ	51	74	80	42	26	11	8	10	4	—
კარელიის ასსრ	14	100	100	—	—	6	16	16	—	—
კომის ასსრ	17	98	98	—	98	5	13	12	—	—
ყირიმის ასსრ	1	0,2	—	2	—	50	15	17	8	4
მარის ასსრ	190	100	100	—	114	14	7	7	—	—
მორდვის ასსრ	315	93	98	78	99	43	6	6	9	3
ვოლგის გერმ. ასსრ	250	88	88	95	34	148	15	15	9	4
ჩრ. ოსეთის ასსრ	—	—	—	—	—	19	42	43	—	—
უდმურტთა ასსრ	329	99	100	100	100	94	21	21	8	5
ჩაჩნეთ ინგ. ასსრ	—	—	—	—	—	16	19	19	23	11
ჩუვაშეთის ასსრ	221	101	103	—	100	53	16	16	—	22
უკრაინის სსრ ოლქები და ავტ. რესპუბლ.										
ვინიცის ოლქი	810	77	78	100	100	78	6	5	12	17
დნეპროპეტრ. ოლქი	1621	81	81	66	70	138	7	6	17	12
დონეცის ოლქი	774	91	92	90	69	252	17	17	20	2
კიევის ოლქი	1050	85	86	100	89	111	6	6	18	10
ოდესის ოლქი	1302	66	67	55	65	75	4	4	7	66
ხარკოვის ოლქი	1511	94	97	97	89	195	9	9	22	27
ჩერნიგოვის ოლქი	585	88	89	100	86	126	12	12	14	14
მოლდავეთის ასსრ	132	62	62	—	—	19	9	9	—	—
სსრ კავშირი	28430	77	78	62	58	6077	9	9	7	8
იგო 1937 წ. 10/IX	25908	70	72	49	52	4316	6	6	5	7
იგო 1936 წ. 15/IX	28469	74	77	60	54	10495	15	16	11	15

შენიშვნა: გორკის, კუიბიშევის ოლქის, ყირგიზეთის სსრ და დაღისტნის ასსრ კოლმეურნეობების შესახებ ცნობები 1937 წ. 10/IX-ისაა.

საბავშვო ბაგებისა და სამშობიარო სახლების მშენებლობა

ედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საქართველოში ფართოდ არის გაშლილი საბავშვო ბაგების, სამშობიარო სახლებისა და სარძეო სამზარეულოების მშენებლობა.

წელს თბილისში შენდება 4 საბავშვო ბაგა 240 საწოლით, აფხაზეთში—5 (204 საწოლით). აჭარაში—9 (348), სამხრეთ ოსეთში—3 (108) და საქართველოს რაიონებში—49 (1806 საწოლით).

საქართველოში შენდება აგრეთვე 51 სამშობიარო სახლი 328 საწოლით და სარძეო სამზარეულოები თბილისში, ქუთაისში, თელავსა და სტალინირში, აგრეთვე კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობა ჯერჯერობით ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. განსაკუთრებით ჩამორჩენილია საბავშვო ბაგათა მშენებლობა თბილისში, ზესტაფონში, აგარის შაქრის ქარხანასა და ქუთაისის აბრეშუმის საქსოვ კომბინატში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ძძარსველი ქობესაშვილი“

თბილისის რკინიგზის მუშას დავით მიხეილის-ძე თომაიშვილს, სადქარელიდან სოფ. სანებელში ცოლშვილის სანახავად მიმავალს, გზაზე დაუხვდა რევოლვერით შეიარაღებული ალექსი ქობესაშვილი, გაძარცვა, ფეხებიც დაუზიანა და თან სკვდილით დაემუქრაო, — გვწერდა ჩვენი სოფლკორი ხაშურის რაიონიდან.

ხაშურის რაიპროკურორი ამხ. ალეგაშვილი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. არამზადა ალექსი ქობესაშვილს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„დროზე მივეშველოთ არჭელს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომლის ავტორი საჩხერიდან გვწერდა: საჩხერეში არსებულ არტელ „თვითშრომას“ განადგურება მოელის, რადგან მისი თავმჯდომარე იოსებ თორაძე არტელის ქონებას ანიავებს და მუყაით, საქმის ერთგულ ხელოსნებს სდევნისო.

წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ჭიათურის რაიპროკურორს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. არამზადა ალექსი ქობესაშვილს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ბაზარი მოუწყობელია“

ჩვენი სოფლკორი სამტრედიის რაიონიდან გვაცნობებდა, რომ ბაზარი მეტად მოუწყობელია, საბაზრო მოედანი მოკირწყლული არ არის და იქ ანტისანიტარიაა გამეფებული, საბაზრო კომიტეტის მუშაკები კი რატომღაც თავს არ იწუხებენ მისი კეთილმოწყობისთვისო.

სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. დუნდუა, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული სიმართლეს შეეფერება.

რაიაღმასკომის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია გადამჭრელი ზომები ბაზრის კეთილმოწყობისათვის.

„უხეირო ხელმძღვანელი“

სოფ. წიფის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასო ნიკოს-ძე ლომსაძე უთავბოლოდ მუშაობს. იგი უხეშად ეპყრობა კოლმეურნეებს, ითვისებს საკოლმეურნეო ქონებას და თვითნებურად მოქმედებსო, — გვწერდა ჩვენი სოფლკორი ორჯონიკიძის რაიონიდან.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ორჯონიკიძის რაიონის პროკურორს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

ვ. ნ. ლომსაძის ბრალდებების მასალები გადაეგზავნა საქ. რესპუბლიკის პროკურორს სანქციისათვის, რომლის მიღებისთანავე საქმეს მიეცემა მსვლელობაო.

მასარიკის დასაფლავება

პრაღა, 20 სექტემბერი (საქ. დეპ. სააგ.). დღეს პრაღაში მოხდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მასარიკის გასვენება ლანის კოშკში დასაკრძალავად. კუბოს, რომელიც ლაფეტზე იდგა, მიჰყვებოდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ბენეში, მთავრობის წევრები, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის, რუმინეთის, სამხრეთ-სლავიისა და სხვა სახელმწიფოთა დელეგაცია. პროცესიაში მონაწილეობას იღებდა პრაღის გარნიზონის სამხედრო ნაწილები და ჩეხოსლოვაკიის არმიის ყველა ნაწილის დელეგაცია, მოსულნი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან. პრაღის ქუჩებში სამგლოვიარო პროცესიას ელოდებოდა მილიონზე მეტი კაცი. შემდეგ კუბო მასარიკის ნეშტით, გადაიტანეს ვაგონში და გაგზავნეს ლანის კოშკში, სადაც მოხდა დაკრძალვა.

„ბლაგოეველები“ სამშობლოში გაემგზავრნენ

ანკარა, 21 სექტემბერი (საქ. დეპ. სააგენტო). გუშინ სტამბოლში მთელი საბჭოთა კოლონია ყვავილებით მიაცილებდა თბომავალ „სტალინი ბოლშევიკთან“ სამშობლოში გაემგზავრებულ ფაშისტ პირატების მიერ ჩაძირული გემის „ბლაგოევის“ მამაც საბჭოთა მეზღვაურებს.

„ბლაგოეველებმა“ კოლექტიური წერილით მიმართეს საბჭოთა კოლონიას, წერილში მადლობას უცხადებენ ძმური მიღებისათვის და ამბობენ: „ჩვენ ფიცი დავდეთ მოკლული ჩვენი ამხანაგის — პეტრე მაიაკოზის-ძე შტეპენკოს საფლავზე — ვიმუშაოთ სტახანოვურად, ხოლო საჭირო მომენტში, თუ დაგვჭირდა, ჩვენი სიცოცხლე შევწიროთ სოციალიზმის საქმეს. ჩვენ ამ ფიცს შევასრულებთ“.

გერმანული საელჩოს თავხელური დემარში

ვენა, 21 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). შვეიცარიის სააგენტომ გამოაქვეყნა შვეიცარიის მთავრობის ცნობა გერმანიის დიპლომატიური მისიის ახალი თავხელური დემარშის შესახებ ბერნში. გერმანიის პრესა, ემყარება რა ჟენევის ჟურნალ „დე ნასიონის“ ცნობას ერთა ლიგასთან აკრედიტებულ ჟურნალისტთა ბანკეტის შესახებ, შვეიცარიის მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს „შეურაცმყოფელ სიტყვებს“, რომლებიც ვითომც ესპანეთის პრემიერ ნეგრინს წარმოეთქვას ჰიტლერის მისამართით ამ ბანკეტზე. შვეიცარიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ნეგრინის წინააღმდეგ შვეიცარიაში არ შეიძლება რაიმე ზომის მიღება, ვინაიდან იგი სარგებლობს იმუნიტეტის ყველა პრივილეგიით. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ ნეგრინს, ალბათ, არ დაუშვია არავითარი შეურაცმყოფელი სიტყვები. თუმცა შვეიცარიის მთავრობა აცხადებს, რომ მან დაიწყო „გამოძიება“.

შვეიცარიის კომპარტიის ორგანო „ფრაიჰაიტი“ ახასიათებს გერმანიის დემარშს, როგორც „თავხედურ ჩარევას ერთა ლიგის საქმეებში და გერმანიის ცდას შეზღუდოს შვეიცარიაში არსებული პრესის თავისუფლება. შვეიცარიის ხალხი, სწერს გაზეთი, მოითხოვს მთავრობისაგან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ფაშისტების ყოველგვარ ჩარევას“.

ნიონის შეთანხმება მოქმედებაშია

პარიზი, 20 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენ.). დღეიდან დაწყებული ხმელთაშუა ზღვაში ძალაში უნდა შევიდეს კონტროლის მოქმედება, დაწესებული ნიონის შეთანხმებით. „პარი სუარი“ მიუთითებს, რომ საერთოდ ეს კონტროლი განხორციელდება 150 გემისა და 100 ჰიდროთვითმფრინავის მიერ.

დროებით ბრიტანეთისა და საფრანგეთის ფლოტი, რომლებმაც უნდა განახორციელონ ეს კონტროლი,—მოთავსებულია ორანში (ალჟირში).

ესპანელი ტროცკისტების ძირგამომთხრელი, გამცემლური მუშაობა

ვალენსია, 20 სექტემბერი (საკ. დეპ. სააგენტო). ქალაქ კასტელონში (კასტელონის პროვინცია) კედლებზე აფიშის აკვრის დროს პოლიციამ დაატუსაღა ორი ტროცკისტი — პოუმის წევრები. ეს აფიშები სავსე იყო რესპუბლიკური მთავრობისადმი უსირცხვილო ცილისწამებითა და შეურაცყოფით. ამ დატუსაღების შედეგად მოხდა კასტელონში და გრაო დე კასტელონში პოუმის შენობის გაჩხრეკა, რომლის დროს აღმოჩნდა 1000-ზე მეტი აფიშა და ფურცლები იმავე შინაარსისა, აგრეთვე პოუმელების გაზეთების ნომრები.

პოუმის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობა დაბეჭდილია და შიგ ხელმძღვანელები დატუსაღებული არიან.

გრაო დე კასტელონში წინათაც ჰქონდა ადგილი ესპანეთის ხალხის მტრების — პოუმელების მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლას, როდესაც იმათ ფაშისტური ჯარის გამარჯვება იღესასწაულეს. მიუხედავად იმისა, რომ გრაო დე კასტელონში ამას მოჰყვა პოუმელების ორგანიზაციის დაშლა, ტროცკისტები - პოუმელები კვლავ განაგრძობენ არალეგალურ გამყიდველ მუშაობას.



თბილისში მიმდინარეობს საზოგადოება „სპარტაკის“ ჩოგბურთელთა საკავშირო შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის თბილისისა და სხვა ქალაქების საუკეთესო ჩოგბურთელები.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამიერ-კავკასიის საუკეთესო ჩოგბურთელი თამარ გოგოლაური, მოსკოვის საუკეთესო ჩოგბურთელები ბლიახი და ზიგმუნტი, თბილისელი ჩოგბურთელები მაიერი და კრუპენნიკოვა.

ფოტო ლინგისა

ქართული სურათები მოსკოვში

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერიაში გაიხსნება საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება როგორც ძველი ქართული ხელოვნება, (ფრესკები, მინიატურები), ისე თანამედროვე ფერწერა გრაფიკაში. ამასთან შეფარდებით გამოფენას ექნება 4 განყოფილება: ძველი დროისა და საშუალოსაუკუნეების ფრესკები; მე-19 საუკუნის საპორტრეტო ფერწერა და საქართველოს რევოლუციაწინდელი ხელოვნება; სურათები და სკულპტურული ნაწარმოებნი თემაზე „საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციათა ისტორიისათვის“, საბჭოთა საპეიზაჟო ფერწერა და „ნატიურ-მორტი“.

მოხდა მოსკოვში გამოფენაზე გაგზავნენ ექსპონატების დათვალიერება. ამჟამად სწარმოებს მზადება ამ თემის საბჭოთა კავშირის დედაქალაქში გასაგზავნად. ექსპონატთა პირველი პარტია გაიგზავნება 25 სექტემბერს.

მოსკოვში ქართული სახვითი ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით გამომცემლობა „ისკუსტვო“ გამოსცემს ილუსტრირებულ კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება სტატიები ქართული სახვითი ხელოვნების საკითხებზე. (საქდესი).

„ხალხური სიმღერების კრებული“

შოთა რუსთაველის იუბილესათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო უშვებს „ხალხური სიმღერების კრებულს“. კრებულში შევა 400-მდე სიმღერა, შეკრებილი ქართლ-კახეთსა, იმერეთსა, გურია-სამეგრელოსა, სვანეთში და სხვ.

კრებული გამოვა სამ ენაზე — ქართულსა, რუსულსა და ფრანგულზე. სვანური, ჭანური და ოსური სიმღერები კი დაიბეჭდება ოთხ ენაზე.

კრებულის მასალა დაყოფილია თავებად, ქართული მუსიკის ეთნოგრაფიული დანაწილების მიხედვით. თვითეულ თავს ექნება ქვეგანყოფილებანი — ძველი ქართული სიმღერებისა და თანამედროვე სიმღერების. ცალკე კარად იქნება გამოყოფილი ხალხური სიმღერები ლენინსა და სტალინზე.

25 სექტემბრისათვის დამთავრდება მუშაობა მუსიკალურ ტექსტზე.

კრებულში შეტანილი იქნება სტატიები პროფ. ი. ჯავახიშვილისა, დ. არაყიშვილისა და ვ. კოტეტიშვილისა, კომენტარიები და მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი, აგრეთვე ცნობები ქალკეული სახალხო მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ და მათი სურათები.

ყველაზე ნორჩი მცურავი სპორტსმენები თბილისში ვიტია და ტაია მაკოვკინები. წერენ — ხელყუმბარით ცურვის მომენტი თბილისის საცურაო აუზში.

ფოტო ლინგისა

ლექსები და სიმღერები სტალინზე

ლენინგრადი (საკ. კორ.) ლენინგრადელმა პოეტმა ნ. ტიხონოვმა დაამთავრა სტალინზე ქართველი პოეტების ლექსებისა და ხალხური სიმღერების კრებულის რუსულად თარგმნა.

კრებულში მოთავსებულია თანამედროვე ქართველ პოეტთა ოცზე მეტი ლექსი და ხალხური სიმღერები. კრებულის რუსული თარგმანი მიძღვნილია ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისადმი.

კრებული ახლო მომავალში გამოვა დიდი ტირაჟით.

ოპერეტა „ნარინჯის ველი“

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ორდენოსანმა კომპოზიტორმა დუნაევსკიმ და დრამატურგმა იანკოვსკიმ დაამთავრეს ახალი ოპერეტა „ნარინჯის ველი“.

ოპერეტაში გამოყენებულია დასავლეთ საქართველოს ფოლკლორი, რომელიც მდიდარია თავისი მრავალფეროვნებით და ხასიათდება ხალხურ სიმღერათა მრავალჟანრიანობით. ოპერეტაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ძველ რუსულ სიმღერებს.

ლენინგრადის სახელმწიფო სახალხო სახლის თეატრი უკვე შეუდგა რეპეტიციებს.

„ნარინჯის ველს“ ავტორები უძღვნიან ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს.

ო. ეგაძე.

ი. ე. რეპინის სურათების გამოფენა თბილისში

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის თბილისში, საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის სურათების გალერიაში, გაიხსნება გამოჩენილი რუსი მხატვრის ი. ე. რეპინის სურათების გამოფენა, რომელიც ამ დროისათვის მოსკოვიდან გადმოტანილი იქნება თბილისში.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი ემზადება ექსპონატების მიღებისა და განლაგებისათვის (საქდესი).

ახალი წიგნები

საქ. კ.პ.(ბ) ც. კომიტეტის გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი წიგნები:

ლენინი — რჩეული ნაწერების მე-2 ტომი (ფასი ყდით 10 მან. ურიგდება ხელის მოწერლებს).

მ. ი. კალინინი — დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საბჭოების ამოცანები. (ფასი 40 კაპ.).

შემთხვევები

— **გაუფრთხილებლობის მსხვერპლი:** 28 სექტემბერს, დღისით, მოქ. ლ. ტ. ბარამიძემ (ბევსურეთის ქ. № 10) ბრძოლის ჭურაზე გადარბენისას თავისი გაუფრთხილებლობით თავი მიატაკა მიმავალი საბარგო ავტომანქანის ძარს და სერიოზულად დაშავდა. ბარამიძე კამოს საავადმყოფოში მოათავსეს.

— **ბოროტმოქმედთა ბანდის დაპატიმრება:** ქალაქის მილიციის მე-3 განყოფილებამ დააპატიმრა ბოროტმოქმედთა ბანდა, რომელიც ლენინის რაიონში მოქმედებდა. ბანდაში შედიოდნენ: გ. ე. კაკაბაძე, ხ. მ. კიკოზაშვილი, ო. ლ. არუთინოვი, ა ს. დოლიძე და ი. ს. ოგანეზოვი. ყველანი რეციდივისტი ბოროტმოქმედნი არიან და არაერთხელ ყოფილან მიცემული პასუხისგებაში სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულისათვის. ბანდას შეთაურობდა ციხეზე მ. შ. აჯიაშვილი, რომელსაც წინათ ჰქონდა რამდენიმე რეგისტრაცია თაღლითობისათვის.

ამა წლის აგვისტოს დაშლეულ ამ ბანდამ გაჰქურდა მოქ. მ. გ. სეთურიძის ბინა (პრავდის ქ. № 59), საიდანაც წაღებულ იქნა 2000 მანეთზე მეტი ღირებულების ნივთები. სეთურიძის ბინიდან მოპარული ყველა ნივთი ამასწინათ უშოვნეს ბინაში ბანდის ერთერთ წევრს მ. კაკაბაძეს (კოპერაციის ქ. № 1). გარდა ამისა, ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ, რომ სეთურიძის ბინის გაქურდვის შემდეგ მათ ტრამვაელთა ბაღში გაჰარცვეს ვიღაც უცნობი მოქალაქე, წაართვეს მას პორტფელი, რომელშიაც 2000 მანეთი იყო. მთელი ბანდა დაპატიმრებულია. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე ბანდის თანამონაწილე ქალი ნ. ლ. სეთურიძე. ამ საქმის გამო სწარმოებს შემდგომი გამოძიება.

— **დანაშაულის აღგილზე:** სამხედრო ვაჭრობის მაღაზიაში (კ. მარქსის მოედანი) მილიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა დანაშაულის ადგილზე შეიპყრეს ჯიბგირი ვ. ს. პაპიევი, რომელიც მოკალაქეს ჯიბიდან ფულს აცლიდა. დაპატიმრებისას პაპიევმა მილიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია. როგორც გამოირკვა, პაპიევი უკვე 11-ჯერ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში ქურდობისა და ხულიგნობისათვის. დამნაშავეს სამართალში აძლევენ.

— **უბედური შემთხვევა:** 20 სექტემბერს, დღისით, ფხოვის ქუჩაზე მიმავალი ავტომანქანიდან № 07-86, შოფერ ბ. ს. სუტრუნოვის მიერ განვითარებული მეტისმეტი სისწრაფის გამო, გადმოცვივდა ყუთები, რომლებიც დაეცა გზად მიმავალ მოქალაქეებს გ. ა. მამიაშვილს (წყალტუბოს ქ. № 32) და ს. ს. კაციტაძეს (ვიანისკოვის ქ. № 99) და ორივე დააშავა. სწარმოებს გამოძიება.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

23 სექტემბერს:

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: გერმანიის დაზვერვის — გესტაპოს ძირგამომთხრელი მუშაობა.

რუსულ და ქართულ ენებზე.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ ა. წ. 23 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პროპაგანდისტებისათვის შესდგება პროფ. ა. ა. შარიას მოხსენება რუსულად თემაზე: „ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომის „სახელმწიფო და რევოლუციის“ ისტორიული მნიშვნელობა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი ე. გედია

მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვების) სახელმწიფო შინაგანი სესხის

მოგებათა გათამაშების მეოთხე ჯირაკი

შესდგება ა. წ. 25 ოქტომბერს ქალაქ ალმა-ატაში (ყაზახსტანის სსრ)

გათამაშებული იქნება 1 მილიონი მოგება 164.920 ათასი მანეთის თანხით. მეხუთე ტირაჟი გათამაშდება ა. წ. 25 დეკემბერს დონის ოლქში, ქ. ვოროშილოვგრადში.

საქ. ცაკის პრეზიდიუმთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი ცენტრალური კომისია.

საქართველოს სსრ საქმიანი თეატრი

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი

23 და 24 სექტემბერს

საქფილეგთის საზაფხულო სეზონის დახურვა

1.

ქართული თეატრებისა და საქფილეგთის არტისტები:

სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე, დამსახ. არტისტები—ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე, ემანუელ აფხაიძე.

არტისტები: მ. ნაკაშიძე, ვ. გოძიაშვილი, ჟორჟოლიანი და გომელაური, კრავეიშვილი, პ. კობახიძე, სალარაძე და ჯაფარიძე.

2.

ა შ უ ღ ე ბ ი

ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანულ ენებზე: მირზა ბაირამოვი (თაუზი) იბრაჰიმ ალიევი—ყარაჩოღლი (კიროვაბადი), შამილ ალიევი და ავაქ აზარიანი (ჩარდახლი), სამველ აზარიანი (შამქორი), სადიხ სულთანოვი (ბორჩალო), სალმან ტაგიევი (მედუდუკე).

დასაწყისი საღ. 9 ს. და 15 წ.

ბილეთები იყიდება საქფილეგთის სალაროებში. 2—1 50

ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

22 სექტემბრიდან გაიცემა მუდმივი ადგილების ბილეთები. მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: 1) ფულის გადარიცხვის საბუთები თანხმად ხელშეკრულებისა, 2) დაწესებულების მინდობილობა. ბილეთები მიიღება თეატრის სალაროში ყოველდღე 11—7 სათ.

51 დირექცია.

ა. დ. ჭელიძი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.

მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

ტასო ვალერიანის - ასული და მარინა პავლეს-ასული საყვარელიძეები და სახალხო არტისტი ვალერიან გუნია ცოლშვილით იუწყებიან, რომ 24 სექტემბერს, დღის 1 საათზე, ვაკის სასაფლაოზე გადახდილი იქნება დაუვიწყარი

პავლე დავითის-ძე საყვარელიძის

სამოქალაქო პანაშვიდი

ა. წ. 1-ლ ოქტომბერს, საღ. 7 საათზე, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში (მარის ქ., № 1)—აუდიტორია № 107—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე დოც. **შალვა სილოვანის-ძე შარაშენიძე** დაიცავს დისერტაციას ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„პლატინის კატალიზატორის მოწვალება სპილენძის და ვერცხლის იონებით“.**

ოფიციალურ ოპონენტებად მოწვეული არიან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ქიმიის მეცნ. დოქტორი პროფესორი **ნ. ნ. პეტინი**, დოც., ქიმიის მეცნ. კანდიდატი **ბ. ა. კონოვალოვა** და თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი **კოკოჩაშვილი.**

თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი ზ. კიკნაძე.

1233

საქ. მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2-ს ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

№ № რიგ.	აქტივი: ანგარიშების დასახელება	თანხა	№ № რიგ.	პასივი: ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	159	1	საწესდებო ფონდი	230
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	2	2	ანგარიშსწორებანი	81
3	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა	188	3	სანგარიშო წლის დაგროვებანი	660
4	ნახ ვარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება	152	4		
5	საჭონელი, მზანაწარმი	45	5		
6	ფულადი საშუალებანი	16			